

შპს „დემასი“

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ინფორმაცია და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2017 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	4

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებები

1 კომპანია და მისი საქმიანობა	5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3 მომზადების საფუძველი.....	6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	18
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	20
7 ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	21
8 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	22
9 მარაგები	23
10 გადახდილი ავანსები	24
11 ვადიანი დეპოზიტები.....	20
12 ფული და ფულის ეკვივალენტები	21
13 საკონტრაქტო ვალდებულებები.....	26
14 საწესდებო კაპიტალი	27
15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.....	28
16 გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.....	29
17 სხვა საოპერაციო შემოსავლები	230
18 დისტრიბუციის ხარჯები.....	30
19 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	31
20 პირობითი ვალდებულებები.....	31
21 ფინანსური რისკები მართვა.....	32
22 სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	33
23 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით.....	34
24 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დემასის“ ხელმძღვანელობას:

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით შპს „დემასის“ (კომპანია) ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შემდეგში „ფინანსური ინფორმაცია“) მომზადდა ყველა თვალსაზრისით ფინანსური ინფორმაციის #3 შენიშვნაში მითითებულის საფუძველზე, რომელშიც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) დაფუძნებული კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკა, მათ შორის სამომავლოდ ძალაში შესული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესახებ ხელმძღვანელობის ვარაუდები, პოლიტიკა, რომლის მიღებასაც კომპანია აპირებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების თავისი პირველი სრული კომპლექტის მომზადების დროს.

რას ჩავატარეთ აუდიტი

ფინანსური ინფორმაცია მოიცავს:

- 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებას
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებას
- საკუთარი კაპიტალის ცვლილების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებას
- ფულადი ნაკადების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებას
- გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვას

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტების მიხედვით ჩვენი ვალდებულებები აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ინფორმაციის აუდიტზე აუდიტორის პასუხისმგებლობის ნაწილში.

დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის შედეგად მიღებული მონაცემები საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი დასკვნის საფუძველის წარმოსადგენად.

დამოუკიდებულობა

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა საბუღალტრო ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს კოდექსის (IESBA CODE“) მიხედვით. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები IESBA CODE-ის შესაბამისად.

საყურადღებო ნაწილი - აღრიცხვის საფუძველი და გავრცელებასა და გამოყენებაზე შეზღუდვა

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ შენიშვნა #3 განმარტავს რატომ არსებობს შესაძლებლობა, რომ თანდართული ფინანსური ინფორმაცია მოითხოვდეს კორექტირებას ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგების მომზადებამდე, რომელიც შეტანილია როგორც შესადარისი ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს-ის ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის პირველ სრულ კომპლექტში. უფრო მეტიც, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება არ მოიცავს ფასს-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების სრულ კომპლექტს.

ეს ანგარიში გამიზნულია მხოლოდ შპს „დემასის“ ხელმძღვანელობის ინფორმირებისა და გამოყენებისთვის, რაც წარმოადგენს ფასს-ის შესაბამისად კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადების საფუძველს. ის არ შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი სხვა მიზნით ან გადაეცეს სხვა მხარეებს, თუ ეს მოთხოვნილი არ არის საქართველოს კანონმდებლობით. ჩვენი დასკვნა არ არის შეცვლილი ამ საკითხთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ხელმძღვანელობის ანგარიშს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ინფორმაციას და მის შესახებ ჩვენი აუდიტორის ანგარიშს).

ფინანსური ინფორმაციის შესახებ ჩვენი დასკვნა არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, მათ შორის ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ფინანსური ინფორმაციის ჩვენ აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენ ვალდებული ვართ წავიკითხოთ ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაცია, როცა კი ის ხელმისაწვდომი გახდება და ამის გაკეთების დროს, გავითვალისწინოთ რამდენად შეუსაბამოა სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტის დროს მოპოვებულ ჩვენ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად მნიშვნელოვანი თვალსაზრისით არასწორად არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა, ჩვენ ვალდებული ვართ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და გავითვალისწინოთ მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

მხოლოდ ჩვენი აუდიტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა მატერიალური თვალსაზრისით:

- იმ ფინანსური წლისთვის ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც ფინანსური ინფორმაცია მომზადდა, შეესაბამება ფინანსურ ინფორმაციას; და
- ხელმძღვანელობის ანგარიში მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

ხელმძღვანელობისა და ფინანსური ინფორმაციის მართვისთვის საჭირო პასუხისმგებლობები

როგორც კომპანიის ფასს-ზე გადასვლის ნაწილი, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შენიშვნაში 3 მითითებული საფუძველის შესაბამისად ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, და ისეთ შიდა კონტროლზე, როგორც ამას ხელმძღვანელობა აუცილებლად ჩათვლის ისეთი ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელშიც არ იქნება მნიშვნელოვანი უზუსტობები, იქნება ეს თაღლითობის თუ შეცდომის შედეგად გამოწვეული.

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის უნარი გააგრძელოს უწყვეტი საქმიანობა, წარმოადგინოს უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს აღრიცხვის უწყვეტობის საფუძველი, თუ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა, ან არ აქვს ამის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან თვალყური მიადევნონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის აუდიტზე

ჩვენი მიზნებია მივიღოთ გონივრული უზრუნველყოფა იმის თაობაზე ფინანსური ინფორმაცია მთლიანობაში თავისუფალია მნიშვნელოვანი გაუგებრობებისგან, იქნება ეს გამოწვეული თაღლითობის, თუ შეცდომის შედეგად, და მოამზადოს აუდიტური ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული გარანტია არის გარანტიის მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად განხორციელებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს მნიშვნელოვან უზუსტობას, თუკი ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება წარმოიქმნას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და ითვლება მნიშვნელოვნად, თუ ინდივიდუალურად ან მთლიანობაში მოსალოდნელია, რომ მათ შესაძლოა გავლენა მოახდინონ ამ ფინანსურ ინფორმაციის საფუძველზე მიღებულ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც ISAs-ს შესაბამისად განხორციელებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ დაშვებებს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ჩვენ ასევე:

- ვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ინფორმაციის მნიშვნელოვანი უზუსტობების რისკებს, იქნება ეს გამოწვეული თაღლითობის თუ შეცდომის შედეგად, განვსაზღვრავთ და ვახორციელებთ ამ რისკებზე ორიენტირებულ აუდიტის პროცედურებს, ვიღებთ აუდიტურ მონაცემებს, რაც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი დასკვნის საფუძველის წარმოსადგენად. თაღლითობის შედეგად წამოქმნილი

მნიშვნელოვანი უზუსტობის არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოქმნილი რისკისა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს ფარულ გარიგებას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციას, ან შიდა კონტროლის არ გათვალისწინებას.

- ვიღებთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მონაცემებს, საიმისოდ რომ შეიქმნას აუდიტის პროცედურები, რომლებიც შეესაბამება გარემოებებს, მაგრამ არა იმისთვის, რომ გამოითქვას მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი საბუღალტრო მაჩვენებლებისა და დაკავშირებული მაჩვენებლების საფუძვლიანობას.
- მიღებული აუდიტური მაჩვენებლების საფუძველზე ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული აღრიცხვის საფუძველის უწყვეტი საქმიანობის შესახებ, და არსებობს თუ არა მოვლენებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი უზუსტობები ან პირობები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეჭვი კომპანიის უნართან დაკავშირებით გააგრძელოს უწყვეტი საქმიანობა. ჩვენ თუ დავასკვნით, რომ არსებობს მნიშვნელოვანი უზუსტობა, ვალდებული ვიქნებით ჩვენს აუდიტურ ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ინფორმაციაში დაკავშირებულ მონაცემებზე ან, თუ ასეთი მონაცემები არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნა ეფუძნება აუდიტორის ანგარიშში დღემდე მიღებულ აუდიტურ მტკიცებულებას. თუმცა მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს უწყვეტი საქმიანობა.
- ვაფასებთ ფინანსური ინფორმაციის მთლიან მონაცემებს, სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის მონაცემებს და სამართლიანად წარმოადგენს თუ არა ფინანსური ინფორმაცია გარიგებებს და მოვლენებს.

ჩვენ ვაცნობებთ მართვაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი სამუშაოს მოცულობის და აუდიტის ვადების და აუდიტური აღმოჩენების მნიშვნელობის შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლში არსებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი დეფიციტის შესახებ, რომელიც ჩვენ გამოვავლინეთ აუდიტის დროს.

Pricewaterhouse Cooper Georgia LLC

Pricewaterhouse Cooper Georgia LLC-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რეგ.#SARAS-A-562091)

(ხელმოწერა)

2018 წლის 18 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

შპს „დემასი“

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	15,241	15,030
გადახდილი ავანსები	10	470	430
საინვესტიციო ქონება	8	4,689	5,022
არამატერიალური აქტივები		165	202
ვადიანი დეპოზიტები	11	30,178	6,641
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		50,743	27,325
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	19,603	17,416
გადახდილი ავანსები	10	850	648
სავაჭრო დებიტორული დავალიანება		314	409
ვადიანი დეპოზიტები	11	6,747	16,270
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	3,923	2,676
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		31,437	37,419
მთლიანი აქტივები		82,180	64,744
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	2	2
გაუნაწილებელი მოგება		78,540	62,746
მთლიანი კაპიტალი		78,542	62,748
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება		784	500
კონტრაქტული ვალდებულებები	13	2,070	851
სხვა საგადასახადო დავალიანება, ნეტო		784	645
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		3,638	1,996
მთლიანი ვალდებულებები		3,638	1,996
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		82,180	64,744

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართული 2018 წლის 18 სექტემბერს.

მალხაზ საბაძე (ხელმოწერა)
დირექტორი

ეკატერინე შერვაშიძე (ხელმოწერა)
მთავარი ბუღალტერი

შპს „დემასი“

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2017
შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	15	53,565
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16	(31,349)
მთლიანი მოგება		22,216
სხვა საოპერაციო შემოსავალი	17	1,714
დისტრიბუციის ხარჯები	18	(4,553)
ძირითადი და ადმინისტრაციული ხარი	19	(2,638)
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან, ნეტო		118
საოპერაციო მოგება		16,857
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		16,857
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის მოგება		16,857
სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		16,857

თანხვლები შენიშვნები მე-5-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ამ გარდამავალი ფინანსური ინფორმაციის შემადგენელ განუყოფელ ნაწილს.

შპს „დემასი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით		2	62,746	62,748
წლის მოგება		-	16,857	16,857
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	16,857	16,857
გამოცხადებული დივიდენდები	14	-	(1,063)	(1,063)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2	78,540	78,542

ათას ლარში	შენიშვნა	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		16,857
კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	664
საინვესტიციო ქონებების ცვეთა	8,19	333
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		38
საპროცენტო შემოსავალი ვადიანი დეპოზიტებიდან	17	(1,102)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი		(118)
დაუმონტაჟებელი მოწყობილობების ჩამოწრა	8	84
მარაგების ღირებულების დაყვანა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	16	138
სხვა არაფულად ხარჯი		33
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
		16,927
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		95
ცვლილება მარაგებში	9	(2,358)
ცვლილება გადახდილ ავანსებში	10	(202)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		254
ცვლილება კონტრაქტულ ვალდებულებებში	13	1,219
ცვლილება საგადასახადო დავალიანებაში, ნეტო		139
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		16,074
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		16,074
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(999)
საპროცენტო შემოსავალი ვადიანი დეპოზიტებიდან	17	884
ვადიანი დეპოზიტების განთავსება	11	(29,499)
ვადამოსული ვადიანი დეპოზიტების გატანა	11	15,960
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(13,654)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
დამფუძნებლებისთვის გადახდილი დივიდენდი	14	(1,063)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,063)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(110)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		2,676
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		3,923

თანხლები შენიშვნები მე-5-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ამ გარდამავალი ფინანსური ინფორმაციის შემადგენელ განუყოფელ ნაწილს.

1 კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შპს „დემასის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (“ფასს”) გადასვლაში დასახმარებლად.

კომპანია დაფუძნდა 2000 წლის 3 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დარეგისტრირებულია გლდან-ნაძალადევის სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 200066221.

2017 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობდა ორი პირი: მალხაზ საბაძე (50%) და დევანოზ ინასარიძე (50%). კომპანიის დამფუძნებლები ასრულებენ აღმასრულებელი დირექტორების როლს და ჩართულნი არიან კომპანიის ყოველდღიურ მართვაში.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ვაჭრობს სახლის მოსაწყობი საშუალებებით (მაგ. სააბაზანო ოთახის მოწყობისა და შენობის რემონტისათვის განკუთვნილი მოსაპირკეთებელი მასალები), რომელთა იმპორტს ახდენს ევროპელი და აზიელი მწარმოებლებისგან.

კომპანია ამუშავებს თბილისში მდებარე ორ სავაჭრო ცენტრს (“გალერეა დემასი” რომელიც აღებულია საოპერაციო იჯარით და “იდეალი” რომელიც კომპანიის მფლობელობაშია). ერთი შოურუმში მდებარეობს ქუთაისში და ფუნქციონირებს მხარეებს შორის 2016 წლის 1 იანვარს დადებული ფრანჩაიზის ხელშეკრულების საფუძველზე

რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითადად ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს მსგავსი აღმავალი ეკონომიკები სწრაფად იცვლებიან და მგრძნობიარენი არიან გლობალური ბაზრის კონდიციების და ეკონომიკური რეცესიების მიმართ. შედეგად, საქართველოში მიმდინარე ბიზნეს ოპერაციები ისეთი რისკების წინაშე გვევლინებიან, რომლებიც შესაძლოა უცხო იყოს განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, გასული წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა რამდენიმე სამოქალაქო, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმა, რომლებმაც დადებითი გავლენა იქონიეს ქვეყნის ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. დღესდღეობით საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე სარგებლობს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის რეპუტაციით. საქართველო გასულ წელთან შედარებით 7 საფეხურით დაწინაურდა მსოფლიო ბანკის (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) რეიტინგში „ბიზნესის კეთება 2018“ და მიმდინარე ეტაპზე იკავებს მე-9 ადგილს (190-დან). ქვეყანამ გაიუმჯობესა რეიტინგი თითქმის ყველა კატეგორიაში, განიმტკიცა პოზიციები როგორც ლიდერმა რეგიონში და აჩვენა ევროპის თითქმის ყველა ეკონომიკაზე უკეთესი შედეგი. საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შედგენილი უამრავი მიმოხილვის მიხედვით, საქართველო ასევე გამოირჩევა კორუფციის დაბალი დონით, დაბალი გადასახადებით და მისი ძირითადი ინსტიტუტების საქმიანობის მაღალი გამჭვირვალობით.

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ გასულ წელთან შედარებით შეადგინა 4.8%. ზრდა მნიშვნელოვნად ეფუძნებოდა ბევრ სხვადასხვა სექტორში მიღწეულ წარმატებებს, თუმცა ძირითადად განპირობებული იყო მშენებლობის, ვაჭრობის, უძრავი ქონების, ტრანსპორტის და კომუნიკაციის სექტორებში მიმდინარე ცვლილებებით.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის მთავრობის მიერ შერჩეულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე საგადასახადო, იურიდიულ და პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია, მოახდინოს პროგნოზირება ყველა იმ ფაქტორისა, რომელიც გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე და გაზომოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე აღნიშნული ფაქტორებით გამოწვეული ეფექტი. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას იმისთვის, რომ შეინარჩუნოს კომპანიის ბიზნესის მდგრადი განვითარება.

3 მომზადების საფუძველი

შესაბამისობის განცხადი. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანიის ფასს-თან ადაპტაციის პროცესის ნაწილი და შესაბამება ფასს 1 “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი ადაპტაციის” მოთხოვნებს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის გათვალისწინებით. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2017 წლის 1 იანვარი. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს გადასვლის დღემდე არსებულ შესადარის ინფორმაციას.

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება განკუთვნილია, როგორც შესადარისი ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსამზადებელი კომპანიის პირველი სრული ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების კომპლექტისთვის. შესაბამისად, წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ წარმოადგენს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების სრულ ნაკრებს.

ფასს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ფასს-ის საფუძველზე, რომელიც იქნება გამოყენებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივად ხდება ფასს-ის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) და ფასს განმარტების კომიტეტის მიერ (IFRIC) და შესაძლოა, კვლავაც გადაიხედოს და შეიცვალოს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია შეიცვლება ასეთი ცვლილების დადგომისას საჭიროების შემთხვევაში მანამ, სანამ მოხდება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების სრული ნაკრების დამტკიცება.

აღნიშნული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-თან შესაბამისი გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს რიგ მნიშვნელოვან სააღრიცხვო დაშვებებს. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან ლოგიკურ მსჯელობებს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის მსჯელობას, ან რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე მოცემულია 5-ე შენიშვნაში.

3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფასს-თან პირველადი ადაპტაცია. ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და მას არ მოუწოდებია ისინი წინა პერიოდებში. ამიტომ შედარება და ახსნა იმისა, თუ როგორ გავლენას იქონიებს წინა სააღრიცხვო პრაქტიკიდან ფასს-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მომგებიანობასა და ფულად ნაკადებზე, ამ გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში მოცემული არ არის. ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

ფასს 1 მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას ფასს-ზე გადასვლის დღის მდგომარეობით და მოიცავს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და არასავალდებულო გამოწვევას. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისთვის გამოყენებულია სავალდებულო გამოწვევები.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ამ კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) კურსით. უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსულობები და ზარალები, რომელიც წარმოქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და ასევე წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში სებ-ის სავალუტო კურსით კონვერტაციიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის უწყისში. სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის უწყისში და სხვა სრულ შემოსავალში როგორც “შემოსავალი საკურსო ხვობიდან, ნეტო”. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, გადაანგარიშდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ იყო USD 1 = GEL 2.5922 და ევროს მიმართ EUR 1 = GEL 3.1044 (2017 წლის 1 იანვრისთვის (USD 1 = 2.6468 და EUR 1 = GEL 2.7940). დღესდღეობით საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული ლარი არ არის თავისუფალ მიმოქცევაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარიცხებით. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს ხმარებიდან ამოღებულ ინვენტარს და დაუმთავრებელ აქტივებს მომავალში ძირითადი საშუალებების სახით გამოყენების მიზნით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო სარემონტო და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან.

4 მნიშვნელოვანი საარღივხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიან ღირებულებასა, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯებში.

ცვეთა. მიწას, დაუმთავრებელ მშენებლობას და ხმარებიდან ამოღებულ ინვენტარს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	20
ავტომობილები	5
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა	5
	სასარგებლო მომსახურების ვადასა და საბაზისო იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ფლობილი ქონება საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის, ან ორივე მიზეზით, და არ არის კომპანიის მიერ ათვისებული საკუთარი საოპერაციო საქმიანობების განსახორციელებლად.

შენობების სახით წარმოდგენილი საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. მისი ცვეთა ხდება წრფივი დარიცხვის მეთოდით 20 წლიან სასარგებლო გამოყენების ვადაზე. თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურებულია, კომპანია აღდგენადი თანხის შეფასებას ახორციელებს გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, უდიდესი თანხით. საინვესტიციო ქონება მის აღდგენად თანხამდე ჩამოიწერება წლის მოგება-ზარალში ცვლილების მეშვეობით. გასულ წლებში ასახული გაუფასურების ზარალი ანულირდება, როდესაც არსებობს იმ შეფასებების შემდგომი ცვლილება, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისათვის.

საინვესტიციო ქონების ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც ‘ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები’ (შენიშვნა 19). გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავალში (შენიშვნა 17). საინვესტიციო ქონების გავლიდან წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი გამოითვლება,

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როგორც ამონაგები, შემცირებული საბალანსო ღირებულებით და აღირიცხება წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯებში.

შემდგომი დანახარჯი კაპიტალიზირდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და შესაძლებელია დანახარჯის საიმედოდ შეფასება. რემონტის და მოვლა-შენახვის ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

თუ შესაუთრე დაიწყებს საინვესტიციო ქონების გამოყენებას, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ და ძირითადად წარმოდგენილია კაპიტალიზირებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა კაპიტალიზირდება მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა ამორტიზირდება წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით 1-დან 7 წლამდე სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში “ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში” (შენიშვნა 19).

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივების, რომლებსაც ერიცხებათ ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებას განიხილავენ, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ძირითადად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა ხდება (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში: (i) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI), (ii) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლების უწყისის გავლით და (iii) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისის გავლით.

სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი და აგრეთვე ის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხის გადახდებს (SPPI) წარმოადგენენ თუ არა. თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია ამოღებისათვის, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და ფლობილია პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც საწარმო ფლობს როგორც აქტივების ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, ისე აქტივების გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავენ ფულად

ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ SPPI-ს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის სამართლიანი ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

კომპანია აკლასიფიცირებს სავალო ინვესტიციებს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

(i) აღიარება და არ აღიარება. კომპანიამ უნდა ცნოს ფინანსური აქტივი ან ვალდებულება საბალანსო უწყისში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულების.

ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა და კომპანიამ გადასცემს საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და უფლებას.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) საბალანსო უწყისიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება გათავისუფლდება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულებისა.

ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულებების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების.

განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, რომელიც მოიცავს არაფულადი აქტივების გადაცემას ან ვალდებულებების აღებას, აღიარდება მოგება-ზარალი უწყისში.

(ii) ღირებულების განსაზღვრა. საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს როგორც სამართლიან ღირებულებას მიმატებული, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი აე არ არის წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში, ტრანზაციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე. ფინანსური აქტივის, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტი. სავალო ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

ამორტიზირებული ღირებულება. აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს კონტრაქტული ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, იზომება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების ანულირებიდან მიღებული შემოსულობები და დანაკარგების აღიარებ ხდება პირდაპირი მეთოდით მოგება-ზარალში და წარმოდგენილია სხვა შემოსულობებში/(დანაკარგებში) სავალუტო სხვაობიდან მიღებულ შემოსულობებსა და დანაკარგებთან ერთად.

უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობის ეფექტი წარმოდგენილია სხვა შემოსულობებში/ზარალებში და გაუფასურების ხარჯები ცალკე ხაზად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

FVPL. აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდებიან FVPL-ით. მოგება ან ზარალი სავალო ინსტრუმენტზე, რომელიც შემდგომში ფასდება FVPL-ით აღიარდება მოგება-ზარალში და შესულია ნეტო ღირებულებით სხვა შემოსულობებში/(ზარალებში) წარმოშობის პერიოდისათვის.

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის სამართლიანი ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამოიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების (FVPL) სამართლიან ღირებულებებში ცვლილებების აღიარება ხდება სხვა შემოსულობებში/(ზარალებში) მოგება-ზარალის უწყისში. FVOCI-ით შეფასებული წილობრივი ინსტრუმენტის გაუფასურების ზარალი არ გამოიყოფა ცალკე სამართლიანი ღირებულების სხვა ცვლილებებიდან.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(iii) გაუფასურება. კომპანია აფასებს მომავალზე გათვლილ ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით წარმოდგენილი მის სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგში. გამოყენებული გაუფასურების შეფასების მეთოდი დამოკიდებულია იმაზე იყო თუ არა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში.

სავაჭრო დებოტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, კომპანია იყენებს ფასს-9 -ით ნებადართულ გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოითხოვს, რომ ექსპლუატაციის ვადის მოსალოდნელი დანაკარგები აღიარებული იყოს დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი აღიარებიდან.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით თარიღებისთვის - 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017. ის მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ვადიან დეპოზიტებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, რომელიც ასახულია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების საბალანსო უწყისში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (i) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და (ii) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით წლის განმავლობაში მოგება/ზარალში (FVPL) აღირებულ მაჩვენებელში ცვლილებებით იმ პერიოდში როცა ისინი წარმოიქმნა. ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები, რომელიც შეხედულებისამებრ განსაზღვრულია კომპანიის მიერ აღიარებულ სხვა სრულ შემოსავალში (OCI), რეციკლაციის გარეშე, თუ:

- OCI პრეზენტაცია წარმოქმნის ან გაზრდის მოგების და ზარალის სააღრიცხვო დისბალანსს; ან
- ვალდებულება არის სავალო ვალდებულები ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი

სხვა ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელიც ვარდება სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიაში თარიღებისთვის 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017 მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, რომელიც ასახულია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების საბალანსო უწყისში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფული და ფულის

ექვივალენტები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. ზოგადად მათი დაფარვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 30 დღეს და შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და შესაბამისად შემდგომში აღრიცხავს მათ ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვადიანი დეპოზიტები. ვადიანი დეპოზიტები წარმოადგენენ 3 თვეზე მეტი ვადით ბანკში განთავსებულ დეპოზიტებს.

ვადიანი დეპოზიტები თავდაპირველად აღიარდება საწყისი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. დეპოზიტებზე საპროცენტო შემოსავლები კლასიფიცირდება როგორც 'საპროცენტო შემოსავალი ვადიანი დეპოზიტებიდან' და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც 'სხვა საოპერაციო შემოსავალი' (შენიშვნა 17).

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები არაუზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

მათი მოკლევადიანი ბუნების გამო სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულებად მიჩნეულია მათი საწყისი ღირებულება.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

როდესაც აქტივები იჯარით გაიცემა საოპერაციო იჯარის ფარგლებში, მაშინ საიჯარო დებიტორული დავალიანება წრფივი მეთოდით აღიარდება საიჯარო შემოსავლის სახით იჯარის მოქმედების ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის დარიცხვა მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს. და აღიარება ხდებოდა მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდებოდა იმ ოპერაციებს, რომლებიც აგრეთვე აღიარდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, იგივე ან სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენდა თანხას, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ გადახდილი იქნებოდა საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნებოდა მისაღები მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნებოდა შეფასებებს, როდესაც სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული იყო საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახებოდა ბალანსის ვალდებულების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდებოდა იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაში იყო ან შემდეგში შევიდოდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანულირდებოდა ან გამოყენებული იქნებოდა შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხებოდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანულირდებოდა და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნებოდა იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარებოდა, როდესაც არსებობდა იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებული იყო მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებული იყო იგივე საგადასახადო ორგანოს მიერ იგივე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არ არსებობდა ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით აგროსილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას,

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული გადასახდელი დღე გადავადდება 5-დან 10 წლამდე პერიოდით იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც აქვთ 20%-ზე მეტი დღე-სგან გათავისუფლებული ბრუნვა.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში საფუძველზე. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესასყიდ ფასს, იმპორტის და სხვა არააღდგენად გადასახადებს, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს, შემცირებულ ფასდათმობით, დაბრუნებით და მსგავსი მუხლებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმდინარე მდგომარეობაში და ადგილმდებარეობაზე მოყვანის პროცესში. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი. კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში (შენიშვნა 24).

4 მნიშვნელოვანი საარიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან უდავოდ პრეზუმირებული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. კომპანია ახდენს სახლის მოსაწყობი საშუალებების იმპორტს და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციას (შენიშვნა 1). რეალიზაცია ხორციელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქციაზე კონტროლის უფლების გადაცემა, რაც გულისხმობს პროდუქციის მომხმარებელზე გადაცემას. გადაცემა ხდება როდესაც პროდუქცია გადის კომპანიის საწყობიდან ან კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მომხმარებლის მიერ პროდუქციის მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლები იზომება კონტრაქტის საფუძველზე შეთანხმებული გარიგების ფასით, რაც დაპირებული საქონლის გაყიდვის ფასს წარმოადგენს. კომპანიის გარიგებები მოიცავს ერთჯერად ვალდებულებებს და წარმოადგენს ცალკეული პროდუქტების გადაცემას მომხმარებელზე, რომელთა აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე. უმეტეს შემთხვევაში პროდუქციის საფასურის ანაზღაურება ხდება წინასწარ ან მომხმარებლისადმი პროდუქციის გადაცემის მომენტში. იშვიათ შემთხვევებში მხარეები შესაძლოა, შეთანხმდნენ მომავალში ანაზღაურების პირობაზე, თუმცა ანაზღაურების ვადა არასოდეს აღემატება 12 თვეს. შესაბამისად გარიგების ფასი არ კორექტირდება მნიშვნელოვანი ფინანსური კომონენტის ეფექტით.

კომპანია მომხმარებლებს არ სთავაზობს გარანტიებს, გადახდილი თანხის ანაზღაურების და პროდუქციის დაბრუნების უფლებას.

ფინანსური კომპონენტები. კომპანია არ გეგმავს ისეთი გარიგებების განხორციელებას, რომლის შემთხვევაშიც პერიოდი პროდუქციის მომხმარებლისადმი გადაცემის მომენტიდან პროდუქციის ღირებულების ანაზღაურებამდე აღემატება ერთ წელს. შედეგად, სათანადო პრაქტიკული მიზნების გათვალისწინებით კომპანია არ ახდენს რაიმე გარიგების ღირებულების კორექტირებას დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით.

მომხმარებლებთან დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები: როდესაც კონტრაქტის მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებას, კომპანია ვალდებულია აღრიცხოს კონტრაქტი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში როგორც კონტრაქტული აქტივი ან კონტრაქტული ვალდებულება, რაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოს და მომხმარებლის

მიერ გადახდას შორის დამოკიდებულებაზე. კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს ნებისმიერი უპირობო უფლებები ცალკე, როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკონტრაქტო აქტივები. როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, კომპანია გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

კომპანია არ ფლობდა კონტრაქტულ აქტივებს არც 2017 წლის 1 იანვარს და არც 2017 წლის 31 დეკემბერს.

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღირიცხება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება).

კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარია).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კონტრაქტულ ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განმარტებულია მე-13 შენიშვნაში.

კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები. კომპანია მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს აღიარებს, როგორც აქტივს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება.

კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენენ ის ხარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ მოხდებოდა კონტრაქტის გაფორმება.

კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღირიცხება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების გაწევა სრულად ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი.

კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები შემოიფარგლება გაყიდვების საკომისიოთი, რომლებიც უმეტესწილად მოკლევადიანია (12 თვეზე ნაკლები პერიოდის) ან ერთჯერადი. პრაქტიკული მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, კომპანია გაყიდვის საკომისიოს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში ხარჯად აღრიცხავს როგორც 'დისტრიბუციის ხარჯი' (შენიშვნა 18) მათი დაკისრებისას. აღნიშნული ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდი კომპანიის მიერ ფასდება 1 წელზე ნაკლებად.

დაქირავებული მუშახელის სარგებელი. ხელფასები, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებები, ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და სხვა არაფულადი სარგებელი აღირიცხება იმ საანგარიშგებო წელში, რომლის განმავლობაშიც მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ აღნიშნულ სარგებელთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. კომპანიას არ აქვს იურიდიული ან უდავოდ პრეზუმირებული ვალდებულება, რომ გასცეს პენსია ან მსგავსი ტიპის სარგებელი.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესწორება მისი გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობას მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში.

ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე ლოგიკურ მსჯელობას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. ლოგიკური მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე (შენიშვნა 4). როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით.

განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების პირობები აღწერილია შენიშვნაში 7.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა მისი გაზრდა 70 ათასი ლარით ან მისი შემცირება 52 ათასი ლარით (2016: გაზრდა 37 ათასი ლარით ან შემცირება 30 ათასი ლარით).

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება არ დაუწყია კომპანიას.

ფასს 16 „იჯარები“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება ისევე, როგორც დაფინანსების მიღება. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა IAS 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ში არსებითად გადატანილია IAS 17-ით მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით მოხდა ფასს 4-ის ჩანაცვლება, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ ელის ახალი სტანდარტით თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე რაიმე გავლენის მოხდენას.

IFRIC 23 „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). IAS 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული IAS 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვეველობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვეველობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვეველობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა.

საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. მაგალითები ფაქტების და გარემოებების ცვლილებებისა ან ახალი ინფორმაციისა, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა შეფასება, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებებით ან საგადასახადო ორგანოს უფლების ვადის ამოწურვით, შეამოწმოს ან გადახედოს საგადასახადო მიდგომებს. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმების ან უთანხმოების არარსებობა ცალკე აღებული არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

არ არის მოსალოდნელი, რომ ქვემოთ მოცემული ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები არსებით გავლენას იქონიებენ კომპანიაზე:

- გადახდილი ავანსების მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- წილი მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებში – ცვლილებები IAS 28-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს-ის ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017 წწ. ციკლში - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, IAS 12-სა და IAS 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, არ არის მოსალოდნელი, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ტრანზაქციები და ბალანსები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან არის შეზღუდული ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაციითა და გაცემული დივიდენდებით (შენიშვნა 14).

ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ძირითადი ხელმძღვანელი პირები არიან აღმასრულებელი დირექტორები: მალხაზ საბაძე და დევანოზ ინასარიძე, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ კომპანიის დამფუძნებლებს (შენიშვნა 1).

ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

ათას ლარებში	2017	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი:		
- ხელფასები	300	-
- მოკლევადიანი ბონუსები	40	5
ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია, სულ	340	5

8 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

ათას ლარებში	მიწა და შენობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ტექნიკა და სხვა ავეჯი	საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა*	სულ ძირითადი საშუალებები	საინვესტიციო ქონება
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	13,045	1,307	548	177	834	2,423	18,334	6,651
აკუმულირებული ცვთა	(1,058)	(1,105)	(427)	(139)	(575)	-	(3,304)	(1,629)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვრისთვის	11,987	202	121	38	259	2,423	15,030	5,022
შემოსვლები	171	-	14	-	13	761	959	-
ტრანსფერი	67	-	-	-	135	(202)	-	-
გასვლები	-	-	-	-	-	(84)	(84)	-
ცვთის ხარჯი	(385)	(98)	(59)	(27)	(95)	-	(664)	(333)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	11,840	104	76	11	312	2,898	15,241	4,689
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	13,283	1,307	562	177	982	2,898	19,209	6,651
აკუმულირებული ცვთა	(1,443)	(1,203)	(486)	(166)	(670)	-	(3,968)	(1,962)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	11,840	104	76	11	312	2,898	15,241	4,689

(*) დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული მოწყობილობა

დაუმთავრებელი მშენებლობა ძირითადად მოიცავს გალერეა დემასის ახალი შენობის მშენებლობისა და გაფართოების პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს, რომ გაზარდოს თბილისის ცენტრში მდებარე სავაჭრო ცენტრის მოცულობა. სამუშაოების დასრულება იგეგმება 2018 წელს. დასრულების შემდეგ დაუმთავრებელი მშენებლობა გადავა კატეგორიაში მიწა და შენობები.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის საინვესტიციო ქონება მოიცავდა ოთხ კომერციულ ფართს მთლიანი ფართობით 829 კვადრატული მეტრი, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე - პეკინის გამზირი, თბილისი, საქართველო. მისი სამართლიანი ღირებულება 7,014 ათასი ლარია (1 იანვარი 2017: 6,869 ათასი). კომერციული ფართები ქირავდება სხვადასხვა მოიჯარეებზე 1-დან 5 წლამდე სალიზინგო პერიოდით. სამართლიანი ღირებულების შეფასების დეტალები მოცემულია 22-ე განმარტებით შენიშვნებში.

9 მარაგები

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გასაყიდი საქონელი	18,094	15,677
საქონელი გზაში	1,466	1,702
სხვა მარაგები	43	37
მარაგები, სულ	19,603	17,416

პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება წარმოადგენილი გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებით 31,211 ათასი ლარია.

მარაგები ღირებულებით 19,560 ათასი ლარი (1 იანვარი 2017: 17,379 ათასი ლარი) შეფასებულია წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსების მოძრაობა:

ათას ლარებში	ავანსები მარაგებისთვის	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	სხვა ავანსები	სულ
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	609	430	39	1,078
დამატებები	26,771	246	351	27,368
ავანსების შემცირებები შესაბამისი საქონელის ან სერვისის მიღების შედეგად	(26,553)	(206)	(367)	(27,126)
ავანსები 2017 წლის 31 დეკემბერს, სულ	827	470	23	1,320

11 ვადიანი დეპოზიტები

ანგარიშების თარიღისათვის გრძელვადიანი დეპოზიტები შეჯამებულია ქვემოთ:

ათას ლარებში	კონტრაქტული თანხა	ვალუტა	კონტრაქტის დადების თარიღი	კონტრაქტის ვადის ამოწურვ ის თარიღი	ეფექტური საპროცენტ ო განაკვეთი	31 დეკემბე რი 2017	1 იანვარი 2017
სს პროკრედიტ ბანკი	2,500	აშშ დოლარი	11/25/2016	05/25/2018	3.75%	6,747	6,641
სს პროკრედიტ ბანკი	2,000	აშშ დოლარი	01/26/2016	01/26/2017	4.50%	-	5,514
სს პროკრედიტ ბანკი	2,000	აშშ დოლარი	07/29/2016	10/30/2017	4.00%	-	5,384
სს პროკრედიტ ბანკი	2,000	აშშ დოლარი	08/19/2016	11/20/2017	4.00%	-	5,372
სს ქართუ ბანკი	6,000	აშშ დოლარი	09/25/2017	09/15/2019	6.00%	15,801	-
სს ქართუ ბანკი	3,000	აშშ დოლარი	11/02/2017	10/23/2019	6.25%	7,855	-
სს ქართუ ბანკი	2,500	აშშ დოლარი	11/24/2017	11/14/2019	6.25%	6,522	-
გრძელვადიანი დეპოზიტები, სულ						36,925	22,911

11 ვადიანი დეპოზიტები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა თავისუფალ ფულად სახრებს აბანდებს საქართველოში არსებული ბანკების გრძელვადიან დეპოზიტებში. დეპოზიტორების საკრედიტო რეიტინგი მოცემულია 12-ე განმარტებით შენიშვნებში.

კომპანიის არცერთი გრძელვადიანი დეპოზიტი არ არის ვადაგადასული შემდეგი თარიღებისთვის 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017.

12 ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფულადი სახსრები სალაროში	154	137
მოთხოვნით გადასახდელი ნაშთები ბანკში	3,769	2,539
ფული და ფულის ექვივალენტები, სულ	3,923	2,676

საკრედიტო ხარისხი ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ბალანსების შესაძლებელია შუეჯამდეს ფითრ რეიტინგზე დაყრდნობით შემდეგნაირად:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	გრძელვადიანი დეპოზიტები	მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	გრძელვადიანი დეპოზიტები
არც ვადამოსული და არც გაუფასურებული				
- BB რეიტინგი	3,627	6,747	2,463	22,911
- BB- რეიტინგი	142	-	76	-
- B+ რეიტინგი	-	30,178	-	-
ფულადი სახსრები, მათი ექვივალენტები და გრძელვადიანი დეპოზიტები, სულ	3,769	36,925	2,539	22,911

13 საკონტრაქტო ვალდებულებები

კომპანიამ აღიარა შემდეგი ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია კლიენტების კონტრაქტებთან:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მიმდინარე ვალდებულებები	2,070	851
მიმდინარე ვალდებულებები, სულ	2,070	851

კომპანიის საკონტრაქტო ვალდებულებების ზრდა 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებულია ორი ახალი მნიშვნელოვანი კლიენტისგან მიღებულ ავანსებთან მთლიანი ღირებულებით 1,653 ათასი ლარი.

13 საკონტრაქტო ვალდებულებები (გაგრძელება)

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება წინა წლის კონტრაქტულ ვალდებულებებს არის 796 ათასი ლარი. შემოსავლები, რომლებიც უკავშირდება წინა პერიოდის შესრულების ვალდებულებას არ არის აღიარებული მიმდინარე წელს.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ მთლიანი კონტრაქტული ვალდებულების თანხა შემოსავლად აღიარდება შემდეგი თორმეტი თვის განმავლობაში.

14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით, საწესდები კაპიტალი განისაზღვრა 2 ათას ლარად, რომელიც სრულად იყო შეტანილი შემდეგი თარიღებისთვის - 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017.

2017 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და გადახდილ დივიდენდებმა შეადგინა 1,063 ათასი ლარი. ყველა დივიდენდი გამოცხადდა და გადახდილ იქნა ლარებში.

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ პერიოდში გამოცხადებული დივიდენდები წარმოდგენილია 24-ე განმარტებით შენიშვნებში.

15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

კომპანია შემოსავალს ღებულობს საქონელის გადაცემის შედეგად შემდეგ ძირითად საპროდუქტო ხაზებში:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017
იატაკისა და კედლის ფილები და ლამინატები	31,319
აბაზანასთან დაკავშირებული საქონელი	12,444
ნიჟარები, შემრევი ონკანები და სხვა მსგავსი საქონელი	6,266
წებო	2,676
მინის მოზაიკა	383
სხვა	477
შემოსავლები კლიენტების კონტრაქტებიდან, სულ	53,565

16 გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

ათას ლარებში	2017
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	31,211
მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე დაყვანის შედეგი	138
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება, სულ	31,349

17 სხვა საოპერაციო შემოსავალი

ათას ლარებში	2017
გრძელვადიან დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	1,102
საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	612
სხვა საოპერაციო შემოსავლები, სულ	1,714

18 დისტრიბუციის ხარჯი

ათას ლარებში	2017
მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი	2,476
ძირითადი საშუალებების ცვეთა	664
რეალიზაციასთან დაკავშირებული საკომისიოები	550
კომუნალური ხარჯები	198
საბანკო და სხვა საკომისიოები	168
საიჯარო ხარჯები	149
სხვა	348
დისტრიბუციის ხარჯები, სულ	4,553

19 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ათას ლარებში	2017
მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი	1,537
საინვესტიციო ქონების ცვეთა	333
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	193
საგადასახადო ხარჯები გარდა მოგების გადასახადისა	185
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	52
სხვა	338
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	2,638

20 პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში არის შედარებით ახალი და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, წინააღმდეგობრივი და ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებს მიერ. საგადასახადო შემოწმებები და გამოძიებები ხორციელდება რიგი სამთავრობო უწყებებს მიერ, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება დააკისრონ მკაცრი ჯარიმები და საურავები გარკვეულ სუბიექტებს. საგადასახადო წელი ღიაა შესამოწმებლად საგადასახადო ორგანოების მიერ სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

20 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ამ გარემოებამ შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

21 ფინანსური რისკები მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფულადი სახრებისა და მისი ექვივალენტებისგან, ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული გრძელვადიანი დეპოზიტების კონტრაქტული ფულადი ნაკადებიდან, ისევე როგორც კლიენტების საკრედიტო შესაძლებლობებიდან, რომელიც მოიცავს გადასახდელ მოთხოვნებს.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ვადიანი დეპოზიტები (შენიშვნა 11)	36,925	22,911
დებიტორული დავალიანებები	314	409
მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში (შენიშვნა 12)	3,769	2,539
სულ ბალანსზე არსებული მოცულობა	41,008	25,859
საკრედიტო რისკების მაქსიმალური მოცულობა	41,008	25,859

კომპანიის ვადიანი ანაზღაურებები განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომელთა საკრედიტო რეიტინგებიც მოცემულია 12-ე განმარტებით შენიშვნაში. ყოველ საანგარიშგებო დღეს კომპანია აფასებს გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკები ვადიან დეპოზიტებზე თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აღნიშნული შეფასების განსახორციელებლად, კომპანია ადარებს ფინანსური ინსტრუმენტის გადფოლტების რისკს საანგარიშგებო დღეს და იმავე რისკს თავდაპირველი აღიარებისას და ასევე განიხილავს გონივრულ სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რაც საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელია თავდაპირველი აღიარების შემდეგ. კომპანიის ყველა ვადიანი დეპოზიტი თავისი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულია როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მქონე და ზარალის მოხდენის ალბათობა გაზომილია ამ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოცულობით.

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების შესაძლო ზრდის შეფასება ხორციელდება (i) დამოუკიდებელი მხარეების მიერ შედგენილი ბანკების საკრედიტო რეიტინგების გამოყენებით (12-ე შენიშვნა), (ii) ვადაგადაცილებული გადასახდელების სტატუსებით (მსგავსი შემთხვევა არ იდენტიფიცირებულა არც 2017 წლის 31 დეკემბერს და არც 2017 წლის 1 იანვარს) და (iii) მოსალოდნელი მომავლის შეფასების მეთოდების გამოყენებით, მათ შორის მაკროეკონომიკური ფაქტორების (მთლიანი შიდა პროდუქტი - 'მშპ'), რომლებიც ზემოქმედებენ ბანკის გადამხდელუნარიანობაზე.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები ნაკლებადაა დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნებთან, რადგან ბიზნესი მოწყობილია იმგვარად, რომ თავს არიდებს კრედიტით გაყიდვებს. უმეტეს შემთხვევაში წინასწარ ხდება ანგარიშწორება და დებიტორული დავალიანების ანგარიშის ბალანსი შენარჩუნებულია დაბალ მაჩვენებელზე.

კომპანიის კონცენტრაციის რისკი წარმოდგენილია როგორც 2017 წლის 31 დეკემბრის ასევე 2017 წლის 1 იანვრის ვადიანი დეპოზიტებისთვის. კომპანიის დეპოზიტები განაწილებულია 2 ბანკში. რისკი იმართება იმით, რომ ვადიანი დეპოზიტები განთავსებულია ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებში, რომელთაც სტაბილური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი აქვთ საკრედიტო რეიტინგების შემფასებელი დამოუკიდებელი ორგანიზაციის (Fitch) მიხედვით (12-ე შენიშვნა). მოვალეობის გადამხდელუნარიანობა რეგულარულად გადის მონიტორინგს ხელმძღვანელობას მხრიდან, რათა გამოვლენილ იყოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებები ადრეულ საფეხურზე.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგიც ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

	31 დეკემბერი 2017			1 იანვარი 2017		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებ- ები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებ- ები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ათას ლარებში						
აშშ დოლარი	39,357	607	38,750	24,724	345	24,379
ევრო	1,134	-	1,134	697	-	697
ლარი	652	58	594	563	60	503
რუბლი	19	-	19	12	-	12
ჯამი	41,162	665	40,497	25,996	405	25,591

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
	გავლენა კაპიტალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყრება 20%-ით (1 იანვარი 2017: გამყრება 20%)	(7,138)	(4,793)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით (1 იანვარი 2017: გაუფასურება 20%)	7,138	4,793
ევროს გამყრება 20%-ით (1 იანვარი 2017: გამყრება 20%)	(3)	(139)
ევროს გაუფასურება 20%-ით (1 იანვარი 2017: გაუფასურება 20%)	3	139
რუბლის გამყრება 20%-ით (1 იანვარი 2017: გამყრება 20%)	(4)	(2)
რუბლის გაუფასურება 20%-ით (1 იანვარი 2017: გაუფასურება 20%)	4	2

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისათვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

კომპანია მნიშვნელოვნად ექვემდებარება სავალუტო რისკს, განსაკუთრებით აშშ დოლარის. სავალუტო რისკი წარმოიქმნება სამომავლო გარიგებებისა და აღიარებული აქტივებისგან (ძირითადად ვადიანი დეპოზიტები) და ვალუტით (რომელიც არ არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა) გამოსახული ვალდებულებებისგან. სავალუტო რისკი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს კომპანიის ბიზნეს მოდელებზე, რადგან ზოგადად ყველა მარაგის შეძენა ხორციელდება უცხოური კომპანიებისგან, რომლებიც უცხოურ ვალუტაში ახდენენ ანგარიშწორებას. უცხოური ვალუტით გამოსახული ფინანსური აქტივების მაჩვენებლები ყალიბდება კომპანიის მოლოდინებისგან სამომავლო მარაგების შესყიდვებთან დაკავშირებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები.

ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო ცვლილების ან დაფარვის ვადების მიხედვით.

ათას ლარებში	მოთხოვნა 1 თვემდე	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტე	ჯამი
31 დეკემბერი 2017					
სულ ფინანსური აქტივები	4,237	6,747	-	30,178	41,162
სულ ფინანსური ვალდებულებები	665	-	-	-	665
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2017 წლის 31 დეკემბერს	4,902	6,747	-	30,178	41,827
1 იანვარი 2017					
სულ ფინანსური აქტივები	8,600	-	10,755	6,641	25,996
სულ ფინანსური ვალდებულებები	405	-	-	-	405
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2016 წლის 31 დეკემბერს	9,005	-	10,755	6,641	26,401

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან არც ფინანსურ აქტივებს და არც ფინანსურ ვალდებულებებს არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთები და ეს რისკი უმნიშვნელოდაა მიჩნეული.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს მოცემულია 11-ე შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს. კომპანია ფონდების ინვესტირებას ახორციელებს ვადასა და დეპოზიტებში დივერსიფიცირებულ სიმწიფის თარიღებით, რათა შეძლოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე სწრაფად და მშვიდად რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მის ექვივალენტებს (12-ე შენიშვნა) და ვადას საბანკო დეპოზიტებს (11-ე შენიშვნა). ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელი, რომელიც მოიცავს ფულს, საბანკო დეპოზიტებს შეიძლება რეალიზებული იქნეს ფულად სახსრებად ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მოკლევადიანი ხასიათისაა და ექვემდებარება გადახდას 1 თვემდე ვადაში შეადგენს 784 ათას ლარს (2017 წლის 1 იანვარს 500 ათას ლარს).

22 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონე გულისხმობს შეფასების იმ ხერხების გამოყენებას, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს მსჯელობას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს

მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელოვნება ფასდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში.

22 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, გახლავთ შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017				1 იანვარი 2017			
	1-ლი დონის სამართლიანი ღირებულება	მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება	მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონის სამართლიანი ღირებულება	მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება	მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
<i>ათას ლარებში</i>								
აქტივები								
ფინანსური აქტივები								
- ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	-	3,923	-	3,923	-	2,676	-	2,676
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	-	-	314	314	-	-	409	409
- ვადიანი დეპოზიტები	-	-	36,925	36,925	-	-	22,911	22,911
არა ფინანსური აქტივები								
- საინვესტიციო ქონება თვითღირებულებით	-	-	6,869	4,689	-	-	7,014	5,022
სულ აქტივები	-	3,923	44,108	45,851	-	2,676	30,334	31,018
ვალდებულებები								
ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	-	-	784	784	-	-	500	500
სულ ვალდებულებები	-	-	784	784	-	-	500	500

განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა საინვესტიციო ქონებისთვის. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი საშემფასებლო კომპანიის მიერ, რომელიც ფლობს აღიარებულ და შესაბამის პროფესიულ ხარისხს, რომელსაც აქვს აქტივების შეფასების უახლესი გამოცდილება მსგავს ტერიტორიასა და კატეგორიაში. შედარების პროცესში, მათ გამოიყენეს სამი შესადარისი ანალოგი (დარეგისტრირებული გაყიდვა ან შეთავაზება გაყიდვაზე), რომელშიც ფასები დაკორექტირდა შესაფასებელ აქტივსა და ანალოგებს შორის არსებული სხვაობებით. აქტივების სამართლიანი ღირებულება შეფასდა საბაზრო და შემოსავლების მეთოდის კომბინაციით. გამომდინარე საინვესტიციო ქონების ბუნებიდან შემოსავლების მეთოდს მიენიჭა უფრო მაღალი წონა.

22 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით გამოყენებული შეფასების ტექნიკა და ინფორმაცია იყო შემდეგი სახის:

		შეფასების ტექნიკა	გამოყენებული მონაცემები	მონაცემების სპექტრი (საშუალო შეწონილი)	
				31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ათას ლარებში					
საინვესტიციო ქონება	შემოსავლების მეთოდი / საბაზრო მეთოდი	იჯარის საფასური			
		1 კვადრატულ მეტრზე	0.096 - 0.099 (0.097)	0.098 - 0.01 (0.01)	
		ფასი1 კვადრატულ მეტრზე	8 - 9 (8.3)	8 - 9 (8.3)	
		აუთვისებელი ფართის განაკვეთი %	10%	10%	
		WACC %	10%	10%	

საიჯარო შემოსავლების მთლიანი თანხა აღიარებული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების უწყისში, ასახულია 17-ე განმარტებით შენიშვნებში.

სამართლიანი ღირებულებები შეფასდა იერარქიის მეორე და მესამე დონეებით დისკონტირებული ფულადი ნაკადების საშემფასებლო ტექნიკის გამოყენებით. მცურავი განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც აქტიურად არ კოტირდება ბაზარზე შეფასდა საბალანსო ღირებულების ტოლად. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, რომელშიც გამოყენებულ იქნა საბაზრო და საშემოსავლო მიდგომების კომბინაცია.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც აქვთ მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

23 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნით, ფასს 9, "ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება", ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს შემდეგ კატეგორიებად: (i) ისინი, რომლებიც შემდგომად უნდა შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით, (ii) ისინი, რომლებიც შემდგომად უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით და შედეგი აისახოს სხვა სრული შემოსავლების უწყისში და (iii) ისინი, რომლებიც შემდგომად უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით და შედეგი აისახოს მოგება-ზარალის უწყისში. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი საწყის ეტაპზე ფასდება სამართლიანი ღირებულებით, და შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

23 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით (გაგრძელება)

ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (a) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და (b) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით წლის განმავლობაში მოგება/ზარალში (FVPL) აღირებულ მაჩვენებელში ცვლილებებით იმ პერიოდში როცა ისინი წარმოიქმნა. ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები, რომელიც შეხედულებისამებრ განსაზღვრულია კომპანიის მიერ აღიარებულ სხვა სრულ შემოსავალში (OCI), რეციკლაციის გარეშე, თუ:

- OCI პრეზენტაცია წარმოქმნის ან გაზრდის მოგების და ზარალის სააღრიცხვო დისბალანსს; ან
- ვალდებულება არის სავალო ვალდებულები ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი

სხვა ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელიც ხდება სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიაში 2017 წლის 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 1 იანვრისთვის.

24 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდები. 2018 წლის იანვრიდან ივლისამდე პერიოდში კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაიხადა 1,211 ათასი ლარის დივიდენდები. გადახდა განხორციელდა ლარში.

შპს „დემასი“

ხელმძღვანელობის ანგარიში- საქმიანობის მიმოხილვა 2017 წელი

1. კომპანია, მისი განვითარება, საქმიანობა და პოზიცია:

ზოგადი ინფორმაცია. შპს „დემასი“ (კომპანია) დაფუძნდა 2000 წლის 3 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის საქართველოში არსებული რეგულაციების შესაბამისად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და რეგისტრირებულია გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 200066221.


კომპანიას ფლობს ორი ფიზიკური პირი მალხაზ საბაძე (50%) და დევანოზ ინასარიძე (50%). კომპანიის მფლობელები ასრულებენ აღმასრულებელი დირექტორების ფუნქციებს და მონაწილეობენ კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვაში.

მთავარი საქმიანობა და შემოთავაზებული საქონლის ასორტიმენტი. 18 წლის განმავლობაში კომპანია ეწევა წამყვანი ევროპული და აზიელი მწარმოებლებისგან იმპორტირებულ ბინის რემონტისთვის საჭირო საქონლით ვაჭრობას (ე.ი. აბაზანის მოწყობილობა და სხვადასხვა სარემონტო მასალა) და ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვას, სადაც კომპანია ბაზრის ლიდერია.

კომპანია სთავაზობს თავის კლიენტებს სხვადასხვა დიზაინის სააბაზანო ოთახებისა და დაკავშირებული მოწყობილობებისთვის სადემონსტრაციო ოთახებს (შოურუმები), რაც ეხმარება კლიენტებს შემოთავაზებული სარემონტო მასალებისა და მოწყობილობების ვიზუალურად შეფასებაში.

კომპანია თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ მწარმოებლებთან, როგორიცაა: Armani Roca, Roberto Cavalli, Versace, Bisazza, Mapei, Hansgrohe, Roca, Duravit, Geberit, Laufen, Teuco, Grohe და სხვა.

2017 და 2016 წლებში სხვადასხვა ქვეყნებიდან შესყიდული საქონლის წილი შეჯამებულია ქვემოთ:



შენიშვნა*: 2016 წლისთვის შესყიდულ საქონელთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის აღუძრებული.

გაყიდვები პროდუქტების, გაყიდვების არხებისა და კლიენტების მიხედვით. კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროდუქტების ჩამონათვალი: კერამიკული სანიტარულ-ტექნიკური ნაკეთობები, აკრილის აბაზანები მასაჟის ფუნქციებით ან მის გარეშე, შხაპის კაბინები, სანტექნიკა, შემრევები, ლამინატი და ბუნებრივი ხის იატაკები, კედლისა და იატაკის კერამიკული ფილები, კერამიკულ-მოზაიკური ფილები, მინის მოზაიკა და სხვა სარემონტო მასალები.

მთავარ პროდუქტების ჯგუფებზე დაფუძნებული კომპანიის მიერ წარმოქმნილი შემოსავლები შეჯამებული ქვემოთ:

ათასი ქართული ლარი	2017
იატაკისა და კედლის ფილები და ლამინატები	31,319
სააბაზანო ოთახთან დაკავშირებული საქონელი	12,444
ნიჟარები, წყლის შემრევები და დაკავშირებული საქონელი	6,266
წებოვანი მასალები	2,676
მინის მოზაიკა	383
სხვა	477

სულ შემოსავალი 53,565

კომპანიას აქვს კლიენტების დივერსიფიცირებული ასორტიმენტი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ პირებს, იურიდიულ პირებს, სამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა, რომლებიც შემდგომ დაყოფილია საცალო და საბითუმო კლიენტებად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება მოიცავდა საქართველოში, თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე ოთხ კომერციულ სივრცეს მთლიანობაში 829 კვადრატული მეტრი ფართობით, რომლის სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 7,014 ათას ლარს (1 იანვარი 2017: 6,969 ათასი)). კომერციული სივრცეები მიქირავებულია სხვადასხვა დამქირავებლებზე 1-დან 5 წლამდე საიჯარო პერიოდით.

კომპანია მუდმივად იღებს გაქირავებული საკუთრებიდან შემოსავლებს, რომელმაც 2017 წლისთვის შეადგინა 612 ათასი ლარი. (2016: 547 ათასი ლარი (არააუდირებული)).

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. კომპანიის მთავარი ფინანსური მაჩვენებლები შეჯამებულია ქვემოთ:

ათასი ქართული ლარი	2017	2016*
შემოსავლები	53,565	46,821
გაყიდვების თვითღირებულება	(31,349)	(29,661)
მთლიანი მარჟა	41%	37%
სუფთა მოგების მარჟა	31%	25%
სულ აქტივები	82,180	64,744
სულ კაპიტალი	78,542	62,748
EBITDA*	16,752	14,338

შენიშვნა*: 2016 წლის მოგება ან ზარალი და სხვა მთლიანი შემოსავალი და დაკავშირებული მონაცემები (EBITDA – შემოსავალი პროცენტამდე, გადასახადამდე, ცვეთასა და ამორტიზაციამდე) არ არის აუდირებული.

ძირითადი ცვლილებების განმარტება:

1. შემოსავლების ზრდა (შესაბამისი ზრდა გაყიდვების თვითღირებულებაში) გამოიწვია ხელმძღვანელობის სტრატეგიულმა ღონისძიებებმა, რომელიც ეფუძნებოდა ბაზრის მდგომარეობის გააზრების მაღალ დონეს, კლიენტის სურვილებს და კონკურენტების შემოთავაზებებს. კომპანიამ გააფართოვა თავისი საქონლის ასორტიმენტი, რომელიც მოიცავს ახალი ბრენდის ახალი მასალების პრეზენტაციას, არსებული მასალების ახალ კოლექციებს, და სხვა.
2. მთლიან აქტივებში ზრდა უკავშირდებოდა შემდეგი ცვლადების ზრდას: i. სასაქონლო-მატერიალური მარაგები – კომპანია ზრდის შემოთავაზებული საქონლის ასორტიმენტს, ამიტომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი გაიზარდა; ii. ვადანი დეპოზიტების ზრდა – კომპანია რეგულარულად განათავსებს თავისუფალ თანხას ფიქსირებულ პროცენტთან ვადანი დეპოზიტებზე კარგი რეპუტაციისა და სტაბილური საკრედიტო რეიტინგის მქონე ქართულ ბანკებში. კაპიტალის ზრდა გამოწვეულია 2017 წლის სუფთა მოგებით (16,857 ათასი ლარი) გამოკლებული 2017 წელს გამოცხადებული და სრულად გადახდილი დივიდენდები (1,063 ათასი ლარი)
3. EBITDA-ის ზრდა უკავშირდება ზემოთ 1-3 პუნქტებში განხილულ სხვა ფაქტორებს.

კომპანიის სამომავლო გეგმები. ამჟამად კომპანია არ გეგმავს საქსპორტო გაყიდვებს, ამის ნაცვლად ის ორიენტირებულია საქართველოში ბაზრის წილის გაზრდაზე. ჯერ კიდევ 2017 წელს, კომპანიამ დაიწყო ახალი შენობის მშენებლობა და „გალერეა დემასის“ შოურუმის გაფართოება, რაც გულისხმობს არსებული შოურუმის სრულ განახლებას და არსებული კომერციული სივრცის მოცულობის 4,000 კვ მეტრით გაზრდას. თანამედროვე ინტერიერის მქონე ახალი შოურუმის მშენებლობა დასრულდება 2018 წლის მეორე ნახევარში.

კომპანია გეგმავს საქმიანობის უფრო მეტად გაფართოვებას საქართველოს დასავლეთ ნაწილშიც, თუმცა ამ ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადების თარიღისთვის ზუსტი გეგმები და სტრატეგია ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული.

ინფორმაცია ქვეყანაში არსებული ფილიალების /გაყიდვების პუნქტების შესახებ. კომპანიას არ აქვს ლეგალური ფილიალები, ამის ნაცვლად გაყიდვები ხორციელდება სხვადასხვა შოურუმების საშუალებით.

- “გალერეა დემასი” განთავსებულია საოპერაციო ლიზინგის ქვეშ არებულ შენობაში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, 9 მარტის ბაღის მიმდებარე ტერიტორია, ძველი თბილისის რაიონი, საქართველო;
- ‘სავაჭრო ცენტრი იდეალი’ არის კომპანიის მფლობელობაში და მდებარეობს თბილისში, დ აღმაშენებლის ხეივანი, მე9 კმ, საქართველო;
- ქუთაისში, საქართველო, მდებარე შოურუმი მუშაობს ფრანჩაიზით ბრენდის „იდეალი“ სახელით, 2016 წლის 1 იანვარს მხარეებს შორის ხელმოწერილი ფრანჩაიზის ხელშეკრულების შესაბამისად.

კომპანია ასევე ფლობს თბილისში მდებარე ორ საწყობს, რომლებიც საბითუმო გარიგებებისთვის გამოიყენება როგორც გასაყიდი პუნქტები და აღნიშნული შოურუმების სადისტრიბუციო პუნქტები.

კომპანიის მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები. კომპანიის მთავარი ფინანსური მაჩვენებლები, მათ შორის ზემოთ „**ფინანსურ ანგარიშგებაში**“ მოცემული 2016 წლის მაჩვენებლებთან შედარებით ცვლილებების შესაბამისი განმარტებები.

(i) **ურთიერთობა თანამშრომლებთან** შპს „დემასი“ პერსონალის რაოდენობა 170-200-მდე მერყეობს. კომპანიას აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და კომპანია არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამკირავებელი, შპს „დემასი“ სთავაზობს პერსონალს ინსტრუმენტებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანია სთავაზობს შრომის მოყვარე, მიზანზე ორიენტირებულ პირებს დაწინაურების შესაძლებლობებს, კარგ სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს, სადაც თანამშრომლის უფლებები კარგად არის დაცული და მუდმივად კონტროლდება კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტის მიერ.

(ii) *ურთიერთობა მომწოდებლებთან და კლიენტებთან.* კომპანიას აქვს კარგი პროფესიონალური ურთიერთობა კლიენტებთან - რაც გამოიხატება ყურადღებასა და წლების განმავლობაში შეძენილი პროფესიონალიზმით, რის შედეგადაც ერთჯერადი კლიენტები ხდებიან ხშირი კლიენტები და მცირდება შეძენილი საქონლის დაბრუნების და/ან კლიენტის უკმაყოფილების შემთხვევები.

როგორც ზემოთ არის ჩამოთვლილი, კომპანიას ურთიერთობა აქვს ევროპისა და აზიის წამყვან მწარმოებლებთან. კომპანია არის აღნიშნული კომპანიების სანდო კლიენტი, რასაც ადასტურებს უამრავი ექსკლუზიური ხელშეკრულება, და რაც საშუალებას აძლევს კომპანიას იყოს გარკვეული კატეგორიის მაღალი ხარისხის პროდუქტების ერთადერთი იმპორტიორი და საცალო მოვაჭრე.

(iii) *ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან.* კომპანიის სააღრიცხვო სისტემა კარგად არის ორგანიზებული და მართული. კომპანიის საბუღალტრო დეპარტამენტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგს საიმისოდ, რომ კარგად გაერკვენ კომპანიაზე ზემოქმედების მქონე საგადასახადო კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებებში.

გარდა ამისა, კომპანია იყენებს საგადასახადო საკონსულტაციო კომპანიის მომსახურებას, რომელიც ეხმარება შპს „დემასი“ შესაბამისობაში იყოს საქართველოში წარმოქმნილ საგადასახდო გარემოსთან. კომპანიას იშვიათად აქვს დავა საგადასახადო ორგანოებთან და არ აქვს მნიშვნელოვანი საურავებისა და/ან ჯარიმების ისტორია.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებთან დაკავშირებული დამატებითი

განმარტებები. ბაზარზე არსებული წამყვანი პოზიცია და კომპანიის ძლიერი ფინანსური მდგომარეობა განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით:

- მომსახურება და კლიენტის დაკმაყოფილება - როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიის ხელმძღვანელობა საკმარის ყურადღებას აქცევს თანამშრომლების კვალიფიკაციას, ესენი არიან კარგად მომზადებული პროფესიონალები;
- ექსკლუზიური ხელშეკრულებები - კომპანიამ გააფორმა რამდენიმე ექსკლუზიური ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებს კომპანიას იყოს საქართველოში გარკვეული საქონლის ერთადერთი იმპორტიორი და ცალობით მოვაჭრე;
- კომპანიის ზედა რგოლის ხელმძღვანელობა - კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს ამ დარგში მუშაობის საკმარისი გამოცდილება და ისინი 100%-ით ჩართული არიან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც საშუალებას აძლევს მათ თვალყური მიადევნონ ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებებს და ადვილად შეეგუონ ცვლილებებს;
- ბრენდის სიძლიერე და რეპუტაცია - კომპანიამ შეძლო შეექმნა ძლიერი სავაჭრო სახელწოდება საქართველოს ბაზარზე, რომელიც გულისხმობს ხარისხს, პროფესიონალიზმს და სათანადო ყურადღებას.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები:

საკრედიტო რისკები. კომპანია აქვს საკრედიტო რისკი, რომლის გამოც ფინანსური ინსტრუმენტის ერთმა მხარემ შესაძლოა გამოიწვიოს მეორე მხარის ფინანსური ზარალი რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან, ბანკებში არსებული ვადიანი დეპოზიტებიდან, ასევე კლიენტების საკრედიტო რისკებიდან, მათ შორის გადაუხდეელი დებიტორული დავალიანებებიდან.

შპს „დემასი“
ხელმძღვანელობის ანგარიში- საქმიანობის მიმოხილვა 2017 წელი

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით:

ათას ლარში	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ვადიანი დეპოზიტები	36,925	22,911
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	314	409
მოთხოვნისას გადასახდელი საბანკო ნაშთები	3,769	2,539
სულ საბალანსო რისკები	41,008	25,859
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკები	41,008	25,859

კომპანიას არ აქვს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, რადგან კომპანიის საქმიანობა იმგვარად ხორციელდება, რომ თავიდან იყოს აცილებული კრედიტით გაყიდვები, გაყიდვების ~ 99% ხორციელდება ავანსად გადახდის პირობებით და სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ნაშთი მუდმივად შენარჩუნებულია დაბალ დონეზე (2017 წლის 31 დეკემბერი; 314 ათასი ლარი; 2017 წლის 1 იანვარი: 409 ათასი ლარი) მაქსიმუმ 30 დღიანი გადახდის ვადით.

საკრედიტო რისკი არსებობს კომპანიის ვადიან დეპოზიტებთან დაკავშირებით როგორც 2017 წლის 31 დეკემბრის, ასევე და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობამ განსაზღვრა გარკვეული წესები და პროცედურები ამ რისკის სამართავად: დეპოზიტები გადანაწილებულია 2 ბანკზე (2017 წლის 1 იანვარი: 2 ბანკი), რომელთა საკრედიტო რეიტინგი მკაცრად კონტროლდება ხელმძღვანელობის მიერ საკრედიტო რეიტინგების დამოუკიდებელი პროვაიდერის - Fitch-ის მიერ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკების პოზიციები კონტროლდება ყოველთვიურად ხელმძღვანელობის მიერ.

ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის რისკი უცხოური ვალუტის კურსის რისკთან მიმართებაში საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს.

ათას ლარში	2017 წლის 31 დეკემბრისთვის			2017 წლის იანვრისთვის		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	სუფთა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	სუფთა საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	39,357	607	38,750	24,724	345	24,379
ევრო	1,134	-	1,134	697	-	697
ლარი	652	58	594	563	60	503
რუსული რუბლები	19	-	19	12	-	12
სულ	41,162	665	40,497	25,996	405	25,591

კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი, ძირითადად აშშ დოლართან დაკავშირებით. სავალუტო რისკები წარმოიქმნება იმ ვალუტაში დენომინირებული მომავალი ტრანზაქციებიდან და აღიარებული აქტივებიდან (ძირითადად ვადიანი დეპოზიტები) და ვალდებულებებიდან, რომელი ვალუტაც არ არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი უკავშირდება კომპანიის ბიზნეს მოდელს, რადგან ზოგადად ყველა სასაქონლო-მატერიალური მარაგის შესყიდვა ხორციელდება უცხოური კომპანიებისგან, რომლებიც თანხას იღებენ უცხოურ ვალუტაში, მაშინ როცა

გაყიდვებიდან მიღებული თანხები ქართულ ლარშია. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივების დონე განპირობებულია სასაქონლო-მატერიალური მარაგის შესყიდვასთან დაკავშირებით კომპანიის შესაძლოა მომავალი დანახარჯებით, საიმისოდ, რომ მოხდეს მომწოდებლის ვალუტასთან მიმართებაში ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებული შესაძლო მომავალი სავალუტო რისკი მართვა.

პოლიტიკური რისკები. კომპანიის კონკრეტული საქმიანობის გამო, შპს „დემასის“ მომავალი საქმიანობა მჭიდრო კავშირშია საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასთან.

შენიშვნა: 2017 წელს კომპანიას არ მიუღია მონაწილეობა რაიმე „კვლევასა და განვითარებაში“ (R&D)*

მალხაზ საბაძე

დირექტორი

2018 წლის 18 სექტემბერი

შპს „დემასი“

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ინფორმაცია და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2017 წლის 31 დეკემბერი

შპს „დემასი“

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	4

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებები

1 კომპანია და მისი საქმიანობა	5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3 მომზადების საფუძველი	6
4 მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა	7
5 მნიშვნელოვანი საღრიცხო შეფასებები და დაშვებები საღრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას	18
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	20
7 ბალანსები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
8 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	22
9 მარაგები	23
10 გადახდილი ავანსები	24
11 ვადიანი დეპოზიტები	20
12 ფული და ფულის ეკვივალენტები	21
13 საკონტრაქტო ვალდებულებები	26
14 საწესდებო კაპიტალი	27
15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	28
16 გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	29
17 სხვა საოპერაციო შემოსავლები	230
18 დისტრიბუციის ხარჯები	30
19 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31
20 პირობითი ვალდებულებები	31
21 ფინანსური რისკები მართვა	32
22 სამართლიანი ღირებულების შეფასება	33
23 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით	34
24 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	35

Handwritten signature

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დემასის“ ხელმძღვანელობას:

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით შპს „დემასის“ (კომპანია) ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შემდეგში „ფინანსური ინფორმაცია“) მომზადდა ყველა თვალსაზრისით ფინანსური ინფორმაციის #3 შენიშვნაში მითითებულის საფუძველზე, რომელშიც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) დაფუძნებული კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკა, მათ შორის სამომავლოდ ძალაში შესული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესახებ ხელმძღვანელობის ვარაუდები, პოლიტიკა, რომლის მიღებასაც კომპანია აპირებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების თავისი პირველი სრული კომპლექტის მომზადების დროს.

რას ჩავატარეთ აუდიტი

ფინანსური ინფორმაცია მოიცავს:

- 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებას
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებას
- საკუთარი კაპიტალის ცვლილების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებას
- ფულადი ნაკადების გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებას
- გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტებებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვას

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტების მიხედვით ჩვენი ვალდებულებები აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ინფორმაციის აუდიტზე აუდიტორის პასუხისმგებლობის ნაწილში.

დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის შედეგად მიღებული მონაცემები საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი დასკვნის საფუძველის წარმოსადგენად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტრთა საბუღალტრო ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს კოდექსის (IESBA CODE) მიხედვით. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები IESBA CODE-ის შესაბამისად.

საყურადღებო ნაწილი - აღრიცხვის საფუძველი და გავრცელებასა და გამოყენებაზე შეზღუდვა

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ შენიშვნა #3 განმარტავს რატომ არსებობს შესაძლებლობა, რომ თანდართული ფინანსური ინფორმაცია მოითხოვდეს კორექტირებას ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგების მომზადებამდე, რომელიც შეტანილია როგორც შესადარისი ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს-ის ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის პირველ სრულ კომპლექტში. უფრო მეტიც, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება არ მოიცავს ფასს-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების სრულ კომპლექტს.

ეს ანგარიში გამომდინარეობს მხოლოდ შპს „დემასის“ ხელმძღვანელობის ინფორმირებისა და გამოყენებისთვის, რაც წარმოადგენს ფასს-ის შესაბამისად კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადების საფუძველს. ის არ შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი სხვა მიზნით ან გადაეცეს სხვა მხარეებს, თუ ეს მოთხოვნილი არ არის საქართველოს კანონმდებლობით. ჩვენი დასკვნა არ არის შეცვლილი ამ საკითხთან მიმართებაში.

Handwritten signature: *Handwritten signature*

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ხელმძღვანელობის ანგარიშს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ინფორმაციას და მის შესახებ ჩვენი აუდიტორის ანგარიშს).

ფინანსური ინფორმაციის შესახებ ჩვენი დასკვნა არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, მათ შორის ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ფინანსური ინფორმაციის ჩვენ აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენ ვალდებული ვართ წავიკითხოთ ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაცია, როცა კი ის ხელმისაწვდომი გახდება და ამის გაკეთების დროს, გავითვალისწინოთ რამდენად შეუსაბამოა სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტის დროს მოპოვებულ ჩვენ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად მნიშვნელოვანი თვალსაზრისით არასწორად არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა, ჩვენ ვალდებული ვართ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და გავითვალისწინოთ მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშში საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

მხოლოდ ჩვენი აუდიტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა მატერიალური თვალსაზრისით:

- იმ ფინანსური წლისთვის ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც ფინანსური ინფორმაცია მომზადდა, შეესაბამება ფინანსურ ინფორმაციას; და
- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

ხელმძღვანელობისა და ფინანსური ინფორმაციის მართვისთვის საჭირო პასუხისმგებლობები

როგორც კომპანიის ფასს-ზე გადასვლის ნაწილი, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შენიშვნაში 3 მითითებული საფუძველის შესაბამისად ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, და ისეთ შიდა კონტროლზე, როგორც ამას ხელმძღვანელობა აუცილებლად ჩათვლის ისეთი ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელშიც არ იქნება მნიშვნელოვანი უზუსტობები, იქნება ეს თაღლითობის თუ შეცდომის შედეგად გამოწვეული.

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის უნარი გააგრძელოს უწყვეტი საქმიანობა, წარმოადგინოს უწყვეტ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს აღრიცხვის უწყვეტობის საფუძველი, თუ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა, ან არ აქვს ამის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან თვალყური მიადევნონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის აუდიტზე

ჩვენი მიზნებია მივიღოთ გონივრული უზრუნველყოფა იმის თაობაზე ფინანსური ინფორმაცია მთლიანობაში თავისუფალია მნიშვნელოვანი გაუგებრობებისგან, იქნება ეს გამოწვეული თაღლითობის, თუ შეცდომის შედეგად, და მოამზადოს აუდიტური ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული გარანტია არის გარანტიის მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად განხორციელებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს მნიშვნელოვან უზუსტობას, თუკი ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება წარმოიქმნას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და ითვლება მნიშვნელოვნად, თუ ინდივიდუალურად ან მთლიანობაში მოსალოდნელია, რომ მათ შესაძლოა გავლენა მოახდინონ ამ ფინანსურ ინფორმაციის საფუძველზე მიღებულ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც ISAs-ს შესაბამისად განხორციელებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ დაშვებებს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ჩვენ ასევე:

- ვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ინფორმაციის მნიშვნელოვანი უზუსტობების რისკებს, იქნება ეს გამოწვეული თაღლითობის თუ შეცდომის შედეგად, განვსაზღვრავთ და ვახორციელებთ ამ რისკებზე ორიენტირებულ აუდიტის პროცედურებს, ვიღებთ აუდიტურ მონაცემებს, რაც საჭიროა და შესაფერისია ჩვენი დასკვნის საფუძველის წარმოსადგენად. თაღლითობის შედეგად წამოქმნილი მნიშვნელოვანი უზუსტობის არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად

Handwritten signature

წარმოქმნილი რისკისა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს ფარულ გარიგებას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციას, ან შიდა კონტროლის არ გათვალისწინებას.

- ვიღებთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მონაცემებს, საიმისოდ რომ შეიქმნას აუდიტის პროცედურები, რომლებიც შეესაბამება გარემოებებს, მაგრამ არა იმისთვის, რომ გამოითქვას მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი საბუღალტრო მაჩვენებლებისა და დაკავშირებული მაჩვენებლების საფუძვლიანობას.
- მიღებული აუდიტური მაჩვენებლების საფუძველზე ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული აღრიცხვის საფუძველის უწყვეტი საქმიანობის შესახებ, და არსებობს თუ არა მოვლენებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი უზუსტობები ან პირობები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეჭვი კომპანიის უნართან დაკავშირებით გააგრძელოს უწყვეტი საქმიანობა. ჩვენ თუ დავასკვნით, რომ არსებობს მნიშვნელოვანი უზუსტობა, ვალდებული ვიქნებით ჩვენს აუდიტურ ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ინფორმაციაში დაკავშირებულ მონაცემებზე ან, თუ ასეთი მონაცემები არაა დეკლარირებული, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნა ეფუძნება აუდიტორის ანგარიშში დღემდე მიღებულ აუდიტურ მტკიცებულებას. თუმცა მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს უწყვეტი საქმიანობა.
- ვაფასებთ ფინანსური ინფორმაციის მთლიან მონაცემებს, სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის მონაცემებს და სამართლიანად წარმოადგენს თუ არა ფინანსური ინფორმაცია გარიგებებს და მოვლენებს.

ჩვენ ვაცნობებთ მართვაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი სამუშაოს მოცულობის და აუდიტის ვადების და აუდიტური აღმოჩენების მნიშვნელობის შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლში არსებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი დეფიციტის შესახებ, რომელიც ჩვენ გამოვავლინეთ აუდიტის დროს.

Pricewaterhouse Cooper Georgia LLC

Pricewaterhouse Cooper Georgia LLC-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რეგ.#SARAS-A-562091)

(ხელმოწერა)

2018 წლის 18 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

ქალაქი თბილისი

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	15,241	15,030
გადახდილი ავანსები	10	470	430
საინვესტიციო ქონება	8	4,689	5,022
არამატერიალური აქტივები		165	202
ვადიანი დეპოზიტები	11	30,178	6,641
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		50,743	27,325
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	19,603	17,416
გადახდილი ავანსები	10	850	648
სავაჭრო დებიტორული დავალიანება		314	409
ვადიანი დეპოზიტები	11	6,747	16,270
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	3,923	2,676
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		31,437	37,419
მთლიანი აქტივები		82,180	64,744
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	2	2
გაუნაწილებელი მოგება		78,540	62,746
მთლიანი კაპიტალი		78,542	62,748
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება		784	500
კონტრაქტული ვალდებულებები	13	2,070	851
სხვა საგადასახადო დავალიანება, ნეტო		784	645
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		3,638	1,996
მთლიანი ვალდებულებები		3,638	1,996
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		82,180	64,744

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართული 2018 წლის 18 სექტემბერს.

მალხაზ საბაძე (ხელმოწერა)
დირექტორი

ეკატერინე შერვაშიძე (ხელმოწერა)
მთავარი ბუღალტერი

Handwritten signature

შპს „დედასი“

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2017
შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	15	53,565
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16	(31,349)
მთლიანი მოგება		22,216
სხვა საოპერაციო შემოსავალი	17	1,714
დისტრიბუციის ხარჯები	18	(4,553)
ძირითადი და ადმინისტრაციული ხარი	19	(2,638)
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან, ნეტო		118
საოპერაციო მოგება		16,857
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე მოგების გადასახადის ხარჯი		16,857 -
წლის მოგება		16,857
სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		16,857

თანხვლები შენიშვნები მე-5-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ამ გარდამავალი ფინანსური ინფორმაციის შემადგენელ განუყოფელ ნაწილს.

Handwritten signature

შპს „დედასი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით		2	62,746	62,748
წლის მოგება		-	16,857	16,857
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	16,857	16,857
გამოცხადებული დივიდენდები	14	-	(1,063)	(1,063)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2	78,540	78,542

თანხვლები შენიშვნები მე-5-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ამ გარდამავალი ფინანსური ინფორმაციის შემადგენელ განუყოფელ ნაწილს.

Handwritten signature

შპს „დემასი“

ფულადი ნაკადების წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		16,857
კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	664
საინვესტიციო ქონებების ცვეთა	8,19	333
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		38
საპროცენტო შემოსავალი ვადიანი დეპოზიტებიდან	17	(1,102)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი		(118)
დაუმონტაჟებელი მოწყობილობების ჩამოწერა	8	84
მარაგების ღირებულების დაყვანა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	16	138
სხვა არაფულად ხარჯი		33
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
		16,927
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		95
ცვლილება მარაგებში	9	(2,358)
ცვლილება გადახდილ ავანსებში	10	(202)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		254
ცვლილება კონტრაქტულ ვალდებულებებში	13	1,219
ცვლილება საგადასახადო დავალიანებაში, ნეტო		139
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		
		16,074
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		
		16,074
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(999)
საპროცენტო შემოსავალი ვადიანი დეპოზიტებიდან	17	884
ვადიანი დეპოზიტების განთავსება	11	(29,499)
ვადამოსული ვადიანი დეპოზიტების გატანა	11	15,960
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		
		(13,654)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
დამფუძნებლებისთვის გადახდილი დივიდენდი	14	(1,063)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		
		(1,063)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		
		(110)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		
		2,676
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		
	12	3,923

თანხვლები შენიშვნები მე-5-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ამ გარდამავალი ფინანსური ინფორმაციის შემადგენელ განუყოფელ ნაწილს.

Handwritten signature: *Handwritten signature*

1 კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შპს „დემასის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე („ფასს“) გადასვლაში დასახმარებლად.

კომპანია დაფუძნდა 2000 წლის 3 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დარეგისტრირებულია გლდან-ნაძალადევის სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 200066221.

2017 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობდა ორი პირი: მალხაზ საბაძე (50%) და დევანოზ ინასარიძე (50%). კომპანიის დამფუძნებლები ასრულებენ აღმასრულებელი დირექტორების როლს და ჩართულნი არიან კომპანიის ყოველდღიურ მართვაში.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ვაჭრობს სახლის მოსაწყობი საშუალებებით (მაგ. სააბაზანო ოთახის მოწყობისა და შენობის რემონტისათვის განკუთვნილი მოსაპირკეთებელი მასალები), რომელთა იმპორტს ახდენს ევროპელი და აზიელი მწარმოებლებისგან.

კომპანია ამუშავებს თბილისში მდებარე ორ სავაჭრო ცენტრს („გალერეა დემასი“ რომელიც აღებულია საოპერაციო იჯარით და „იდეალი“ რომელიც კომპანიის მფლობელობაშია). ერთი შოურუმი მდებარეობს ქუთაისში და ფუნქციონირებს მხარეებს შორის 2016 წლის 1 იანვარს დადებული ფრანჩაიზის ხელშეკრულების საფუძველზე

რეგისტრაციის და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, 9 მარტის სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორია.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითადად ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს მსგავსი აღმავალი ეკონომიკები სწრაფად იცვლებიან და მგრძნობიარენი არიან გლობალური ბაზრის კონდიციების და ეკონომიკური რეცესიების მიმართ. შედეგად, საქართველოში მიმდინარე ბიზნეს ოპერაციები ისეთი რისკების წინაშე გვევლინებიან, რომლებიც შესაძლოა უცხო იყოს განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, გასული წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა რამდენიმე სამოქალაქო, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმა, რომლებმაც დადებითი გავლენა იქონიეს ქვეყნის ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. დღესდღეობით საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე სარგებლობს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის რეპუტაციით. საქართველო გასულ წელთან შედარებით 7 საფეხურით დაწინაურდა მსოფლიო ბანკის (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) რეიტინგში „ბიზნესის კეთება 2018“ და მიმდინარე ეტაპზე იკავებს მე-9 ადგილს (190-დან). ქვეყანამ გაიუმჯობესა რეიტინგი თითქმის ყველა კატეგორიაში, განიმტკიცა პოზიციები როგორც ლიდერმა რეგიონში და აჩვენა ევროპის თითქმის ყველა ეკონომიკაზე უკეთესი შედეგი. საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შედგენილი უამრავი მიმოხილვის მიხედვით, საქართველო ასევე გამოირჩევა კორუფციის დაბალი დონით, დაბალი გადასახადებით და მისი ძირითადი ინსტიტუტების საქმიანობის მაღალი გამჭვირვალობით.

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ გასულ წელთან შედარებით შეადგინა 4.8%. ზრდა მნიშვნელოვნად ეფუძნებოდა ბევრ სხვადასხვა სექტორში მიღწეულ წარმატებებს, თუმცა ძირითადად განპირობებული იყო

Handwritten signature

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის მთავრობის მიერ შერჩეულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე საგადასახადო, იურიდიულ და პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია, მოახდინოს პროგნოზირება ყველა იმ ფაქტორისა, რომელიც გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე და გაზომოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე აღნიშნული ფაქტორებით გამოწვეული ეფექტი. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას იმისთვის, რომ შეინარჩუნოს კომპანიის ბიზნესის მდგრადი განვითარება.

3 მომზადების საფუძველი

შესაბამისობის განცხადი. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანიის ფასს-თან ადაპტაციის პროცესის ნაწილი და შეესაბამება ფასს 1 “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი ადაპტაციის” მოთხოვნებს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის გათვალისწინებით. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2017 წლის 1 იანვარი. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს გადასვლის დღემდე არსებულ შესადარის ინფორმაციას.

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება განკუთვნილია, როგორც შესადარისი ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსამზადებელი კომპანიის პირველი სრული ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების კომპლექტისთვის. შესაბამისად, წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ წარმოადგენს ფასს-ის შესაბამის ფინანსური ანგარიშგებების სრულ ნაკრებს.

ფასს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ფასს-ის საფუძველზე, რომელიც იქნება გამოყენებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივად ხდება ფასს-ის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) და ფასს განმარტების კომიტეტის მიერ (IFRIC) და შესაძლოა, კვლავაც გადაიხედოს და შეიცვალოს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია შეიცვლება ასეთი ცვლილების დადგომისას საჭიროების შემთხვევაში მანამ, სანამ მოხდება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების სრული ნაკრების დამტკიცება.

აღნიშნული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-თან შესაბამისი გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს რიგ მნიშვნელოვან სააღრიცხვო დაშვებებს. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან ლოგიკურ მსჯელობებს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის მსჯელობას, ან რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე მოცემულია 5-ე შენიშვნაში.

3 მოზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფასს-თან პირველადი ადაპტაცია. ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგებების მოზადება და მას არ მოუზადებია ისინი წინა პერიოდებში. ამიტომ შედარება და ახსნა იმისა, თუ როგორ გავლენას იქონიებს წინა სააღრიცხვო პრაქტიკიდან ფასს-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მომგებიანობასა და ფულად ნაკადებზე, ამ გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაში მოცემული არ არის. ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებს.

ფასს 1 მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების წარდგენას ფასს-ზე გადასვლის დღის მდგომარეობით და მოიცავს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენების რამდენიმე სავალდებულო და არასავალდებულო გამოწვევას. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მოზადებისთვის გამოყენებულია სავალდებულო გამოწვევები.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ამ კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) კურსით. უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსულობები და ზარალები, რომელიც წარმოქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და ასევე წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში სებ-ის სავალუტო კურსით კონვერტაციიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის უწყისში. სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის უწყისში და სხვა სრულ შემოსავალში როგორც „შემოსავალი საკურსო ხვაობიდან, ნეტო“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, გადაანგარიშდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ იყო USD 1 = GEL 2.5922 და ევროს მიმართ EUR 1 = GEL 3.1044 (2017 წლის 1 იანვრისთვის (USD 1 = 2.6468 და EUR 1 = GEL 2.7940). დღესდღეობით საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული ლარი არ არის თავისუფალ მიმოქცევაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარიცხებით. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს ხმარებიდან ამოღებულ ინვენტარს და დაუმთავრებელ აქტივებს მომავალში ძირითადი საშუალებების სახით გამოყენების მიზნით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო სარემონტო და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზირდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება ბალანსიდან.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიან ღირებულებასა, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯებში.

ცვეთა. მიწას, დაუმთავრებელ მშენებლობას და ხმარებიდან ამოღებულ ინვენტარს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	20
ავტომობილები	5
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სასარგებლო მომსახურების ვადასა და საბაზისო იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ფლობილი ქონება საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის, ან ორივე მიზეზით, და არ არის კომპანიის მიერ ათვისებული საკუთარი საოპერაციო საქმიანობების განსახორციელებლად.

შენობების სახით წარმოდგენილი საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. მისი ცვეთა ხდება წრფივი დარიცხვის მეთოდით 20 წლიან სასარგებლო გამოყენების ვადაზე. თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურებულია, კომპანია აღდგენადი თანხის შეფასებას ახორციელებს გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, უდიდესი თანხით. საინვესტიციო ქონება მის აღდგენად თანხამდე ჩამოიწერება წლის მოგება-ზარალში ცვლილების მეშვეობით. გასულ წლებში ასახული გაუფასურების ზარალი ანულირდება, როდესაც არსებობს იმ შეფასებების შემდგომი ცვლილება, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისათვის.

საინვესტიციო ქონების ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც „ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები“ (შენიშვნა 19). გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავალში (შენიშვნა 17). საინვესტიციო ქონების გასვლიდან წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი გამოითვლება,

Handwritten signature

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როგორც ამონაგები, შემცირებული საბალანსო ღირებულებით და აღირიცხება წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯებში.

შემდგომი დანახარჯი კაპიტალიზირდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და შესაძლებელია დანახარჯის საიმედოდ შეფასება. რემონტის და მოვლა-შენახვის ყველა სხვა დანახარჯი გაწვევითანავე აისახება ხარჯებში.

თუ შესაკუთრე დაიწყებს საინვესტიციო ქონების გამოყენებას, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ და ძირითადად წარმოდგენილია კაპიტალიზირებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით.

შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა კაპიტალიზირდება მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი გაწვევითანავე აისახება ხარჯებში.

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა ამორტიზირდება წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით 1-დან 7 წლამდე სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში "ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში" (შენიშვნა 19).

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივების, რომლებსაც ერიცხებათ ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებას განიხილავენ, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ძირითადად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა ხდება (ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება შესაძლო ანულისების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში: (i) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI), (ii) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლების უწყისის გავლით და (iii) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისის გავლით.

სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი და აგრეთვე ის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხის გადახდებს (SPPI) წარმოადგენენ თუ არა. თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია ამოღებისათვის, შესაძლებელია მისი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და ფლობილია პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც საწარმო ფლობს როგორც აქტივების ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, ისე აქტივების გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავენ ფულად

ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ SPPI-ს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.

Handwritten signature

4 მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის სამართლიანი ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

კომპანია აკლასიფიცირებს სავალო ინვესტიციებს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

(i) აღიარება და არ აღიარება. კომპანიამ უნდა ცნოს ფინანსური აქტივი ან ვალდებულება საბალანსო უწყისში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულების.

ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივიებიდან, ვადა გაუვა და კომპანიამ გადასცემს საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და უფლებას.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) საბალანსო უწყისიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება გათავისუფლდება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულებისა.

ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულებების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების.

განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, რომელიც მოიცავს არაფულადი აქტივების გადაცემას ან ვალდებულებების აღებას, აღიარდება მოგება-ზარალი უწყისში.

(ii) ღირებულების განსაზღვრა. საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს როგორც სამართლიან ღირებულებას მიმატებული, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი აე არ არის წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში, ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე. ფინანსური აქტივის, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

4 მნიშვნელოვანი საღარიბო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტი. სავალო ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

ამორტიზირებული ღირებულება. აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს კონტრაქტული ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, იზომება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების ანულირებიდან მიღებული შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირი მეთოდით მოგება-ზარალში და წარმოდგენილია სხვა შემოსულობებში/(დანაკარგებში) სავალუტო სხვაობიდან მიღებულ შემოსულობებსა და დანაკარგებთან ერთად.

უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობის ეფექტი წარმოდგენილია სხვა შემოსულობებში/ზარალებში და გაუფასურების ხარჯები ცალკე ხაზად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

FVPL. აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდებიან FVPL-ით. მოგება ან ზარალი სავალო ინსტრუმენტზე, რომელიც შემდგომში ფასდება FVPL-ით აღიარდება მოგება-ზარალში და შესულია ნეტო ღირებულებით სხვა შემოსულობებში/(ზარალებში) წარმოშობის პერიოდისათვის.

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივი ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის სამართლიანი ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების (FVPL) სამართლიან ღირებულებებში ცვლილებების აღიარება ხდება სხვა შემოსულობებში/(ზარალებში) მოგება-ზარალის უწყისში. FVOCI-ით შეფასებული წილობრივი ინსტრუმენტის გაუფასურების ზარალი არ გამოიყოფა ცალკე სამართლიანი ღირებულების სხვა ცვლილებებიდან.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(iii) გაუფასურება. კომპანია აფასებს მომავალზე გათვლილ ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით წარმოდგენილი მის სავალსე ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგში. გამოყენებული გაუფასურების შეფასების მეთოდი დამოკიდებულია იმაზე იყო თუ არა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში.

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, კომპანია იყენებს ფასს-9-ით ნებადართულ გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოითხოვს, რომ ექსპლუატაციის ვადის მოსალოდნელი დანაკარგები აღიარებული იყოს დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი აღიარებიდან.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით თარიღებისთვის - 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017. ის მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ვადიან დეპოზიტებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, რომელიც ასახულია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების საბალანსო უწყისში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (i) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და (ii) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით წლის განმავლობაში მოგება/ზარალი (FVPL) აღირებულ მარვენებელში ცვლილებებით იმ პერიოდში როცა ისინი წარმოიქმნა. ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები, რომელიც შეხედულებისამებრ განსაზღვრულია კომპანიის მიერ აღიარებულ სხვა სრულ შემოსავალში (OCI), რეციკლაციის გარეშე, თუ:

- OCI პრეზენტაცია წარმოქმნის ან გაზრდის მოგების და ზარალის სააღრიცხვო დისბალანსს; ან
- ვალდებულება არის სავალსე ვალდებულები ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი

სხვა ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელიც ვარდება სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიაში თარიღებისთვის 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017 მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, რომელიც ასახულია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების საბალანსო უწყისში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადასახადება. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადასახადება ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადასახადის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულის სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფული და ფულის

ექვივალენტები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. ზოგადად მათი დაფარვის ვადა შეადგენს არაუმეტეს 30 დღეს და შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და შესაბამისად შემდგომში აღრიცხავს მათ ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

Handwritten signature

4 მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვადიანი დეპოზიტები. ვადიანი დეპოზიტები წარმოადგენენ 3 თვეზე მეტი ვადით ბანკში განთავსებულ დეპოზიტებს.

ვადიანი დეპოზიტები თავდაპირველად აღიარდება საწყისი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. დეპოზიტებზე საპროცენტო შემოსავლები კლასიფიცირდება როგორც 'საპროცენტო შემოსავალი ვადიანი დეპოზიტებიდან' და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც 'სხვა საოპერაციო შემოსავალი' (შენიშვნა 17).

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები არაუზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

მათი მოკლევადიანი ბუნების გამო სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულებად მიჩნეულია მათი საწყისი ღირებულება.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარე ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

როდესაც აქტივები იჯარით გაიცემა საოპერაციო იჯარის ფარგლებში, მაშინ საიჯარო დებიტორული დავალიანება წრფივი მეთოდით აღიარდება საიჯარო შემოსავლის სახით იჯარის მოქმედების ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის დარიცხვა მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს. და აღიარება ხდებოდა მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდებოდა იმ ოპერაციებს, რომლებიც აგრეთვე აღიარდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, იგივე ან სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენდა თანხას, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ გადახდილი იქნებოდა საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნებოდა მისაღები მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნებოდა შეფასებებს, როდესაც სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული იყო საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახებოდა ბალანსის ვალდებულების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სადრიცხო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდებოდა იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაში იყო ან შემდეგში შევიდოდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანუღირდებოდა ან გამოყენებული იქნებოდა შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

Handwritten signature

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხებოდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში აწულირდებოდა და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნებოდა იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარებოდა, როდესაც არსებობდა იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებული იყო მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებული იყო იგივე საგადასახადო ორგანოს მიერ იგივე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არ არსებობდა ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იხერგება მოგების გადასახადით აგროსილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იხერგება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას,

Handwritten signature

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშგაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული გადასახდელი დღე გადავადდება 5-დან 10 წლამდე პერიოდით იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც აქვთ 20%-ზე მეტი დღე-სგან გათავისუფლებული ბრუნვა.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში საფუძველზე. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესასყიდ ფასს, იმპორტის და სხვა არააღდგენად გადასახადებს, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს, შემცირებულ ფასდათმობით, დაბრუნებით და მსგავსი მუხლებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმდინარე მდგომარეობაში და ადგილმდებარეობაზე მოყვანის პროცესში. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი. კომპანიის საწყისი საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში (შენიშვნა 24).

Handwritten signature: ზაქარია

4 მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან უდავოდ პრეზუმირებული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინსწარი გადახდის სახით.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. კომპანია ახდენს სახლის მოსაწყობი საშუალებების იმპორტს და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციას (შენიშვნა 1). რეალიზაცია ხორციელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქციაზე კონტროლის უფლების გადაცემა, რაც გულისხმობს პროდუქციის მომხმარებელზე გადაცემას. გადაცემა ხდება როდესაც პროდუქცია გადის კომპანიის საწყობიდან ან კომპანიას აქვს ობიექტური მტკიცებულება, რომ მომხმარებლის მიერ პროდუქციის მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლები იზომება კონტრაქტის საფუძველზე შეთანხმებული გარიგების ფასით, რაც დაპირებული საქონლის გაყიდვის ფასს წარმოადგენს. კომპანიის გარიგებები მოიცავს ერთჯერად ვალდებულებებს და წარმოადგენს ცალკეული პროდუქტების გადაცემას მომხმარებელზე, რომელთა აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე. უმეტეს შემთხვევაში პროდუქციის საფასურის ანაზღაურება ხდება წინასწარ ან მომხმარებლისადმი პროდუქციის გადაცემის მომენტში. იშვიათ შემთხვევებში მხარეები შესაძლოა, შეთანხმდნენ მომავალში ანაზღაურების პირობაზე, თუმცა ანაზღაურების ვადა არასოდეს აღემატება 12 თვეს. შესაბამისად გარიგების ფასი არ კორექტირდება მნიშვნელოვანი ფინანსური კომონენტის ეფექტით.

კომპანია მომხმარებლებს არ სთავაზობს გარანტიებს, გადახდილი თანხის ანაზღაურების და პროდუქციის დაბრუნების უფლებას.

ფინანსური კომპონენტები. კომპანია არ გეგმავს ისეთი გარიგებების განხორციელებას, რომლის შემთხვევაშიც პერიოდი პროდუქციის მომხმარებლისადმი გადაცემის მომენტიდან პროდუქციის ღირებულების ანაზღაურებამდე აღემატება ერთ წელს. შედეგად, სათანადო პრაქტიკული მიზნების გათვალისწინებით კომპანია არ ახდენს რაიმე გარიგების ღირებულების კორექტირებას დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით.

მომხმარებლებთან დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები: როდესაც კონტრაქტის მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებას, კომპანია ვალდებულია აღრიცხოს კონტრაქტი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში როგორც კონტრაქტული აქტივი ან კონტრაქტული ვალდებულება, რაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოს და მომხმარებლის

მიერ გადახდას შორის დამოკიდებულებაზე. კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს ნებისმიერი უპირობო უფლებები ცალკე, როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

Handwritten signature

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკონტრაქტო აქტივები. როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, კომპანია გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

კომპანია არ ფლობდა კონტრაქტულ აქტივებს არც 2017 წლის 1 იანვარს და არც 2017 წლის 31 დეკემბერს.

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღირიცხება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება).

კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის საწარმოოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარია).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კონტრაქტულ ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განმარტებულია მე-13 შენიშვნაში.

კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები. კომპანია მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს აღიარებს, როგორც აქტივს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება.

კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენენ ის ხარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ მოხდებოდა კონტრაქტის გაფორმება.

კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღირიცხება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების გაწევა სრულად ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი.

კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები შემოიფარგლება გაყიდვების საკომისიოთი, რომლებიც უმეტესწილად მოკლევადიანია (12 თვეზე ნაკლები პერიოდის) ან ერთჯერადი. პრაქტიკული მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, კომპანია გაყიდვის საკომისიოს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგებაში ხარჯად აღრიცხავს როგორც 'დისტრიბუციის ხარჯი' (შენიშვნა 18) მათი დაკისრებისას. აღნიშნული ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდი კომპანიის მიერ ფასდება 1 წელზე ნაკლებად.

დაქირავებული მუშახელის სარგებელი. ხელფასები, ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებები, ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და სხვა არაფულადი სარგებელი აღირიცხება იმ საანგარიშგებო წელში, რომლის განმავლობაშიც მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ აღნიშნულ სარგებელთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. კომპანიას არ აქვს იურიდიული ან უდავოდ პრეზუმირებული ვალდებულება, რომ გასცეს პენსია ან მსგავსი ტიპის სარგებელი.

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესწორება მისი გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობას მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში.

ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე ლოგიკურ მსჯელობას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. ლოგიკური მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე (შენიშვნა 4). როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით.

განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების პირობები აღწერილია შენიშვნაში 7.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშაებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა მისი გაზრდა 70 ათასი ლარით ან მისი შემცირება 52 ათასი ლარით (2016: გაზრდა 37 ათასი ლარით ან შემცირება 30 ათასი ლარით).

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება არ დაუწყია კომპანიას.

ფასს 16 „იჯარები“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება ისევე, როგორც დაფინანსების მიღება. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა IAS 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ში არსებითად გადატანილია IAS 17-ით მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის თავის ფინანსურ ანგარიშებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით მოხდა ფასს 4-ის ჩანაცვლება, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებებზე ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ ელის ახალი სტანდარტით თავის ფინანსურ ანგარიშებაზე რაიმე გავლენის მოხდენას.

IFRIC 23 „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). IAS 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული IAS 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვეველობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი საგადასახადოს მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვეველობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვეველობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა.

საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. მაგალითები ფაქტების და გარემოებების ცვლილებებისა ან ახალი ინფორმაციისა, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა შეფასება, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებებით ან საგადასახადო ორგანოს უფლების ვადის ამოწურვით, შეამოწმოს ან გადახედოს საგადასახადო მიდგომებს. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმების ან უთანხმოების არარსებობა ცალკე აღებული არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამგვამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

არ არის მოსალოდნელი, რომ ქვემოთ მოცემული ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები არსებით გავლენას იქონიებენ კომპანიაზე:

- გადახდილი ავანსების მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- წილი მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებში – ცვლილებები IAS 28-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს-ის ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017 წწ. ციკლში - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, IAS 12-სა და IAS 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, არ არის მოსალოდნელი, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

Handwritten signature

7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ტრანზაქციები და ბალანსები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან არის შეზღუდული ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაციითა და გაცემული დივიდენდებით (შენიშვნა 14).

ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. ძირითადი ხელმძღვანელი პირები არიან აღმასრულებელი დირექტორები: მალხაზ საბაძე და დევიანოზ ინასარიძე, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ კომპანიის დამფუძნებლებს (შენიშვნა 1).

ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

ათას ლარებში	2017	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი:		
- ხელფასები	300	-
- მოკლევადიანი ბონუსები	40	5
ძირითადი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია, სულ	340	5

შპს „დეტასი“
გარდაამავალი სპეციალური დანაშნულებების ფინანსური ინფორმაციის განმარტებების შენიშვნები – 31 დეკემბერი, 2017

8 ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

ათას ლარებში	მიწა და შენობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ტექნიკა და სხვა ავეჯი	საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა*	სულ ძირითადი საშუალებები	საინვესტიციო ქონება
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	13,045	1,307	548	177	834	2,423	18,334	6,651
აკუმულირებული ცვეთა	(1,058)	(1,105)	(427)	(139)	(575)	-	(3,304)	(1,629)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვრისთვის	11,987	202	121	38	259	2,423	15,030	5,022
შემოსვლები	171	-	14	-	13	761	959	-
ტრანსფერი	67	-	-	-	135	(202)	-	-
გასვლები	-	-	-	-	-	(84)	(84)	-
ცვეთის ხარჯი	(385)	(98)	(59)	(27)	(95)	-	(664)	(333)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	11,840	104	76	11	312	2,898	15,241	4,689
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	13,283	1,307	562	177	982	2,898	19,209	6,651
აკუმულირებული ცვეთა	(1,443)	(1,203)	(486)	(166)	(670)	-	(3,968)	(1,962)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	11,840	104	76	11	312	2,898	15,241	4,689

(*) დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული მიწყობილობა

დაუმთავრებელი მშენებლობა ძირითადად მოიცავს გალერეა დემასის ახალი შენობის მშენებლობისა და გაფართოების პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს, რომ გაზარდოს თბილისის ცენტრში მდებარე სავაჭრო ცენტრის მოცულობა. სამუშაოების დასრულება იგეგმება 2018 წელს. დასრულების შემდეგ დაუმთავრებელი მშენებლობა გადავა კატეგორიაში მიწა და შენობები.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის საინვესტიციო ქონება მოიცავდა ოთხ კომერციულ ფართს მთლიანი ფართობით 829 კვადრატული მეტრი, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე - პეკინის გამზირი, თბილისი, საქართველო. მისი სამართლიანი ღირებულება 7,014 ათასი ლარია (1 იანვარი 2017: 6,869 ათასი). კომერციული ფართები ქირავდება სხვადასხვა მოთხოვნებზე 1-დან 5 წლამდე სალიზინგო პერიოდით. სამართლიანი ღირებულების შეფასების დეტალები მოცემულია 22-ე განმარტებით შენიშვნებში.

შპს „დემასი“

გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის განმარტების შენიშვნები –
31 დეკემბერი, 2017

9 მარაგები

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გასაყიდი საქონელი	18,094	15,677
საქონელი გზაში	1,466	1,702
სხვა მარაგები	43	37
მარაგები, სულ	19,603	17,416

პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება წარმოადგენილი გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებით 31,211 ათასი ლარია.

მარაგები ღირებულებით 19,560 ათასი ლარი (1 იანვარი 2017: 17,379 ათასი ლარი) შეფასებულია წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსების მოძრაობა:

ათას ლარებში	ავანსები მარაგებისთვის	ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	სხვა ავანსები	სულ
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვარს	609	430	39	1,078
დამატებები	26,771	246	351	27,368
ავანსების შემცირებები შესაბამისი საქონელის ან სერვისის მიღების შედეგად	(26,553)	(206)	(367)	(27,126)
ავანსები 2017 წლის 31 დეკემბერს, სულ	827	470	23	1,320

11 ვადიანი დეპოზიტები

ანგარიშების თარიღისათვის გრძელვადიანი დეპოზიტები შეჯამებულია ქვემოთ:

ათას ლარებში	კონტრაქტული თანხა	ვალუტა	კონტრაქტის დადების თარიღი	კონტრაქტის ვადის ამოწურვის თარიღი	ფინანსური საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სს პროკრედიტ ბანკი	2,500	აშშ დოლარი	11/25/2016	05/25/2018	3.75%	6,747	6,641
სს პროკრედიტ ბანკი	2,000	აშშ დოლარი	01/26/2016	01/26/2017	4.50%	-	5,514
სს პროკრედიტ ბანკი	2,000	აშშ დოლარი	07/29/2016	10/30/2017	4.00%	-	5,384
სს პროკრედიტ ბანკი	2,000	აშშ დოლარი	08/19/2016	11/20/2017	4.00%	-	5,372
სს ქართუ ბანკი	6,000	აშშ დოლარი	09/25/2017	09/15/2019	6.00%	15,801	-
სს ქართუ ბანკი	3,000	აშშ დოლარი	11/02/2017	10/23/2019	6.25%	7,855	-
სს ქართუ ბანკი	2,500	აშშ დოლარი	11/24/2017	11/14/2019	6.25%	6,522	-
გრძელვადიანი დეპოზიტები, სულ						36,925	22,911

Handwritten signature

11 ვადიანი დეპოზიტები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა თავისუფალ ფულად სახრებს აბანდებს საქართველოში არსებული ბანკების გრძელვადიან დეპოზიტებში. დეპოზიტორების საკრედიტო რეიტინგი მოცემულია 12-ე განმარტებით შენიშვნებში.

კომპანიის არცერთი გრძელვადიანი დეპოზიტი არ არის ვადაგადასული შემდეგი თარიღებისთვის 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017.

12 ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფულადი სახსრები სალაროში	154	137
მოთხოვნით გადასახდელი ნაშთები ბანკში	3,769	2,539
ფული და ფულის ექვივალენტები, სულ	3,923	2,676

საკრედიტო ხარისხი ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ბალანსების შესაძლებელია შშეჯამდეს ფითრ რეიტინგზე დაყრდნობით შემდეგნაირად:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	გრძელვადიანი დეპოზიტები	მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	გრძელვადიანი დეპოზიტები
არც ვადაგადასული და არც გაუფასურებული				
- BB რეიტინგი	3,627	6,747	2,463	22,911
- BB- რეიტინგი	142	-	76	-
- B+ რეიტინგი	-	30,178	-	-
ფულადი სახსრები, მათი ექვივალენტები და გრძელვადიანი დეპოზიტები, სულ	3,769	36,925	2,539	22,911

13 საკონტრაქტო ვალდებულებები

კომპანიამ აღიარა შემდეგი ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია კლიენტების კონტრაქტებთან:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მიმდინარე ვალდებულებები	2,070	851
მიმდინარე ვალდებულებები, სულ	2,070	851

კომპანიის საკონტრაქტო ვალდებულებების ზრდა 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებულია ორი ახალი მნიშვნელოვანი კლიენტისგან მიღებულ ავანსებთან მთლიანი ღირებულებით 1,653 ათასი ლარი.

11 ვადიანი დეპოზიტები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა თავისუფალ ფულად სახრებს აბანდებს საქართველოში არსებული ბანკების გრძელვადიან დეპოზიტებში. დეპოზიტორების საკრედიტო რეიტინგი მოცემულია 12-ე განმარტებით შენიშვნებში.

კომპანიის არცერთი გრძელვადიანი დეპოზიტი არ არის ვადაგადასული შემდეგი თარიღებისთვის 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017.

12 ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფულადი სახსრები საღაროში	154	137
მოთხოვნით გადასახდელი ნაშთები ბანკში	3,769	2,539
ფული და ფულის ექვივალენტები, სულ	3,923	2,676

საკრედიტო ხარისხი ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ბალანსების შესაძლებელია შეეჯამდეს ფითრ რეიტინგზე დაყრდნობით შემდეგნაირად:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	გრძელვადიანი დეპოზიტები	მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	გრძელვადიანი დეპოზიტები
არც ვადაგადასული და არც გაუფასურებული				
- BB რეიტინგი	3,627	6,747	2,463	22,911
- BB- რეიტინგი	142	-	76	-
- B+ რეიტინგი	-	30,178	-	-
ფულადი სახსრები, მათი ექვივალენტები და გრძელვადიანი დეპოზიტები, სულ	3,769	36,925	2,539	22,911

13 საკონტრაქტო ვალდებულებები

კომპანიამ აღიარა შემდეგი ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია კლიენტების კონტრაქტებთან:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მიმდინარე ვალდებულებები	2,070	851
მიმდინარე ვალდებულებები, სულ	2,070	851

კომპანიის საკონტრაქტო ვალდებულებების ზრდა 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებულია ორი ახალი მნიშვნელოვანი კლიენტისგან მიღებულ ავანსებთან მთლიანი ღირებულებით 1,653 ათასი ლარი.

13 საკონტრაქტო ვალდებულებები (გაგრძელება)

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება წინა წლის კონტრაქტულ ვალდებულებებს არის 796 ათასი ლარი. შემოსავლები, რომლებიც უკავშირდება წინა პერიოდის შესრულების ვალდებულებას არ არის აღიარებული მიმდინარე წელს.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ მთლიანი კონტრაქტული ვალდებულების თანხა შემოსავლად აღიარდება შემდეგი თორმეტი თვის განმავლობაში.

14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით, საწესდები კაპიტალი განისაზღვრა 2 ათას ლარად, რომელიც სრულად იყო შეტანილი შემდეგი თარიღებისთვის - 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017.

2017 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და გადახდილ დივიდენდებმა შეადგინა 1,063 ათასი ლარი. ყველა დივიდენდი გამოცხადდა და გადახდილ იქნა ლარებში.

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ პერიოდში გამოცხადებული დივიდენდები წარმოდგენილია 24-ე განმარტებით შენიშვნებში.

15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

კომპანია შემოსავალს ღებულობს საქონელის გადაცემის შედეგად შემდეგ ძირითად საპროდუქტო ხაზებში:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017
იატაკისა და კედლის ფილები და ლამინატები	31,319
აბაზანასთან დაკავშირებული საქონელი	12,444
ნიჟარები, შემრევი ონკანები და სხვა მსგავსი საქონელი	6,266
წებო	2,676
მინის მოზაიკა	383
სხვა	477
შემოსავლები კლიენტების კონტრაქტებიდან, სულ	53,565

16 გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

ათას ლარებში	2017
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	31,211
მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე დაყვანის შედეგი	138
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება, სულ	31,349

17 სხვა საოპერაციო შემოსავალი

ათას ლარებში	2017
გრძელვადიან დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	1,102
საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	612
სხვა საოპერაციო შემოსავლები, სულ	1,714

18 დისტრიბუციის ხარჯი

ათას ლარებში	2017
მომუშავეთა გასამრეგლოს ხარჯი	2,476
ძირითადი საშუალებების ცვეთა	664
რეალიზაციასთან დაკავშირებული საკომისიოები	550
კომუნალური ხარჯები	198
საბანკო და სხვა საკომისიოები	168
საიჯარო ხარჯები	149
სხვა	348
დისტრიბუციის ხარჯები, სულ	4,553

19 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ათას ლარებში	2017
მომუშავეთა გასამრეგლოს ხარჯი	1,537
საინვესტიციო ქონების ცვეთა	333
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	193
საგადასახადო ხარჯები გარდა მოგების გადასახადისა	185
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	52
სხვა	338
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	2,638

20 პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში არის შედარებით ახალი და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, წინააღმდეგობრივი და ეჭვმდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებს მიერ. საგადასახადო შემოწმებები და გამოძიებები ხორციელდება რიგი სამთავრობო უწყებებს მიერ, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება დააკისრონ მკაცრი ჯარიმები და საურავები გარკვეულ სუბიექტებს. საგადასახადო წელი ღიაა შესამოწმებლად საგადასახადო ორგანოების მიერ სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

20 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ამ გარემოებამ შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

21 ფინანსური რისკები მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფულადი საბრებისა და მისი ექვივალენტებისგან, ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული გრძელვადიანი დეპოზიტების კონტრაქტული ფულადი ნაკადებიდან, ისევე როგორც კლიენტების საკრედიტო შესაძლებლობებიდან, რომელიც მოიცავს გადასახდელ მოთხოვნებს.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ვადიანი დეპოზიტები (შენიშვნა 11)	36,925	22,911
დებიტორული დავალიანებები	314	409
მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში (შენიშვნა 12)	3,769	2,539
სულ ბალანსზე არსებული მოცულობა	41,008	25,859
საკრედიტო რისკების მაქსიმალური მოცულობა	41,008	25,859

კომპანიის ვადიანი ანაზრები განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომელთა საკრედიტო რეიტინგებიც მოცემულია 12-ე განმარტებით შენიშვნაში. ყოველ საანგარიშგებო დღეს კომპანია აფასებს გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკები ვადიან დეპოზიტებზე თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აღნიშნული შეფასების განსახორციელებლად, კომპანია ადარებს ფინანსური ინსტრუმენტის გადფოლტების რისკს საანგარიშგებო დღეს და იმავე რისკს თავდაპირველი აღიარებისას და ასევე განიხილავს გონივრულ სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რაც საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელია თავდაპირველი აღიარების შემდეგ. კომპანიის ყველა ვადიანი დეპოზიტი თავისი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულია როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მქონე და ზარალის მოხდენის ალბათობა გაზომილია ამ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოცულობით.

Handwritten signature

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების შესაძლო ზრდის შეფასება ხორციელდება (i) დამოუკიდებელი მხარეების მიერ შედგენილი ბანკების საკრედიტო რეიტინგების გამოყენებით (12-ე შენიშვნა), (ii) ვადაგადაცილებული გადასახდელების სტატუსებით (მსგავსი შემთხვევა არ იდენტიფიცირებულა არც 2017 წლის 31 დეკემბერს და არც 2017 წლის 1 იანვარს) და (iii) მოსალოდნელი მომავლის შეფასების მეთოდების გამოყენებით, მათ შორის მაკროეკონომიკური ფაქტორების (მთლიანი შიდა პროდუქტი - 'შშპ'), რომლებიც ზემოქმედებენ ბანკის გადამხდელუნარიანობაზე.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები ნაკლებადაა დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნებთან, რადგან ბიზნესი მოწყობილია იმგვარად, რომ თავს არიდებს კრედიტით გაყიდვებს. უმეტეს შემთხვევაში წინასწარ ხდება ანგარიშწორება და დებიტორული დავალიანების ანგარიშის ბალანსი შენარჩუნებულია დაბალ მაჩვენებელზე.

კომპანიის კონცენტრაციის რისკი წარმოდგენილია როგორც 2017 წლის 31 დეკემბრის ასევე 2017 წლის 1 იანვრის ვადიანი დეპოზიტებისთვის. კომპანიის დეპოზიტები განაწილებულია 2 ბანკში. რისკი იმართება იმით, რომ ვადიანი დეპოზიტები განთავსებულია ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებში, რომელთაც სტაბილური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი აქვთ საკრედიტო რეიტინგების შემფასებელი დამოუკიდებელი ორგანიზაციის (Fitch) მიხედვით (12-ე შენიშვნა). მოვალეობის გადამხდელუნარიანობა რეგულარულად გადის მონიტორინგს ხელმძღვანელობას მხრიდან, რათა გამოვლენილ იყოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესებები ადრეულ საფეხურზე.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტების მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგიც ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

	31 დეკემბერი 2017			1 იანვარი 2017		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებ- ები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებ- ები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ათას ლარებში						
აშშ დოლარი	39,357	607	38,750	24,724	345	24,379
ევრო	1,134	-	1,134	697	-	697
ლარი	652	58	594	563	60	503
რუბლი	19	-	19	12	-	12
ჯამი	41,162	665	40,497	25,996	405	25,591

Handwritten signature: ჯე. აყიო

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

ათას ლარებში	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
	გავლენა კაპიტალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყრება 20%-ით (1 იანვარი 2017: გამყრება 20%)	(7,138)	(4,793)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით (1 იანვარი 2017: გაუფასურება 20%)	7,138	4,793
ევროს გამყრება 20%-ით (1 იანვარი 2017: გამყრება 20%)	(3)	(139)
ევროს გაუფასურება 20%-ით (1 იანვარი 2017: გაუფასურება 20%)	3	139
რუბლის გამყრება 20%-ით (1 იანვარი 2017: გამყრება 20%)	(4)	(2)
რუბლის გაუფასურება 20%-ით (1 იანვარი 2017: გაუფასურება 20%)	4	2

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისათვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

კომპანია მნიშვნელოვნად ექვემდებარება სავალუტო რისკს, განსაკუთრებით აშშ დოლარის სავალუტო რისკი წარმოიქმნება სამომავლო გარიგებებისა და აღიარებული აქტივებისგან (ძირითადად ვადიანი დეპოზიტები) და ვალუტით (რომელიც არ არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა) გამოსახული ვალდებულებებისგან. სავალუტო რისკი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რადგან ზოგადად ყველა მარაგის შეძენა ხორციელდება უცხოური კომპანიებისგან, რომლებიც უცხოურ ვალუტაში ახდენენ ანგარიშწორებას. უცხოური ვალუტით გამოსახული ფინანსური აქტივების მაჩვენებლები ყალიბდება კომპანიის მოლოდინებისგან სამომავლო მარაგების შესყიდვებთან დაკავშირებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები.

ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო ცვლილების ან დაფარვის ვადების მიხედვით.

ათას ლარებში	მოთხოვნა 1 თვემდე	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტ	ჯამი
31 დეკემბერი 2017					
სულ ფინანსური აქტივები	4,237	6,747	-	30,178	41,162
სულ ფინანსური ვალდებულებები	665	-	-	-	665
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2017 წლის 31 დეკემბერს	4,902	6,747	-	30,178	41,827
1 იანვარი 2017					
სულ ფინანსური აქტივები	8,600	-	10,755	6,641	25,996
სულ ფინანსური ვალდებულებები	405	-	-	-	405
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა 2016 წლის 31 დეკემბერს	9,005	-	10,755	6,641	26,401

Handwritten signature

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან არც ფინანსურ აქტივებს და არც ფინანსურ ვალდებულებებს არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთები და ეს რისკი უმნიშვნელოდაა მიჩნეული.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს მოცემულია 11-ე შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოდნევი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს. კომპანია ფონდების ინვესტირებას ახორციელებს ვადაიან დეპოზიტებში დივერსიფიცირებულ სიმწიფის თარიღებით, რათა შემოსოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე სწრაფად და მშვიდად რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მის ექვივალენტებს (12-ე შენიშვნა) და ვადაიან საბანკო დეპოზიტებს (11-ე შენიშვნა). ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელი, რომელიც მოიცავს ფულს, საბანკო დეპოზიტებს შეიძლება რეალიზებული იქნეს ფულად სახსრებად ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მოკლევადიანი ხასიათისაა და ექვემდებარება გადახდას 1 თვემდე ვადაში შეადგენს 784 ათას ლარს (2017 წლის 1 იანვარს 500 ათას ლარს).

22 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონე გულისხმობს შეფასების იმ ხერხების გამოყენებას, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს მსჯელობას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს

მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელოვნება ფასდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში.

Handwritten signature

22 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, გახლავთ შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017				1 იანვარი 2017			
	1-ლი დონის სამართლიანი ღირებულება	მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება	მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონის სამართლიანი ღირებულება	მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება	მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ათას ლარებში								
აქტივები								
ფინანსური აქტივები								
- ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	-	3,923	-	3,923	-	2,676	-	2,676
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	-	-	314	314	-	-	409	409
- ვადიანი დეპოზიტები	-	-	36,925	36,925	-	-	22,911	22,911
არა ფინანსური აქტივები								
- საინვესტიციო ქონება თვითღირებულებით	-	-	6,869	4,689	-	-	7,014	5,022
სულ აქტივები	-	3,923	44,108	45,851	-	2,676	30,334	31,018
ვალდებულებები								
ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	-	-	784	784	-	-	500	500
სულ ვალდებულებები	-	-	784	784	-	-	500	500

განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა საინვესტიციო ქონებისთვის. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი საშემფასებლო კომპანიის მიერ, რომელიც ფლობს აღიარებულ და შესაბამის პროფესიულ ხარისხს, რომელსაც აქვს აქტივების შეფასების უახლესი გამოცდილება მსგავს ტერიტორიასა და კატეგორიაში. შედარების პროცესში, მათ გამოიყენეს სამი შესადარისი ანალოგი (დარეგისტრირებული გაყიდვა ან შეთავაზება გაყიდვაზე), რომელშიც ფასები დაკორექტირდა შესაფასებელ აქტივსა და ანალოგებს შორის არსებული სხვაობებით. აქტივების სამართლიანი ღირებულება შეფასდა საბაზრო და შემოსავლების მეთოდის კომბინაციით. გამომდინარე საინვესტიციო ქონების ბუნებიდან შემოსავლების მეთოდს მიენიჭა უფრო მაღალი წონა.

შპს დემასი

22 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, გახლავთ შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017				1 იანვარი 2017			
	1-ლი დონის სამართლიანი ღირებულება	მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება	მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონის სამართლიანი ღირებულება	მე-2 დონის სამართლიანი ღირებულება	მე-3 დონის სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ათას ლარებში								
აქტივები								
ფინანსური აქტივები								
- ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	-	3,923	-	3,923	-	2,676	-	2,676
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	-	-	314	314	-	-	409	409
- ვადიანი დეპოზიტები	-	-	36,925	36,925	-	-	22,911	22,911
არა ფინანსური აქტივები								
- საინვესტიციო ქონება თვითღირებულებით	-	-	6,869	4,689	-	-	7,014	5,022
სულ აქტივები	-	3,923	44,108	45,851	-	2,676	30,334	31,018
ვალდებულებები								
ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	-	-	784	784	-	-	500	500
სულ ვალდებულებები	-	-	784	784	-	-	500	500

განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა საინვესტიციო ქონებისთვის. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი საშემფასებლო კომპანიის მიერ, რომელიც ფლობს აღიარებულ და შესაბამის პროფესიულ ხარისხს, რომელსაც აქვს აქტივების შეფასების უახლესი გამოცდილება მსგავს ტერიტორიასა და კატეგორიაში. შედარების პროცესში, მათ გამოიყენეს სამი შესადარისი ანალოგი (დარეგისტრირებული გაყიდვა ან შეთავაზება გაყიდვაზე), რომელშიც ფასები დაკორექტირდა შესაფასებელ აქტივსა და ანალოგებს შორის არსებული სხვაობებით. აქტივების სამართლიანი ღირებულება შეფასდა საბაზრო და შემოსავლების მეთოდის კომბინაციით. გამომდინარე საინვესტიციო ქონების ბუნებიდან შემოსავლების მეთოდს მიენიჭა უფრო მაღალი წონა.

შპს დედასი

22 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით გამოყენებული შეფასების ტექნიკა და ინფორმაცია იყო შემდეგი სახის:

ათას ლარებში	შეფასების ტექნიკა	გამოყენებული მონაცემები	მონაცემების სპექტრი (საშუალო შეწონილი)	
			31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
		იჯარის საფასური 1 კვადრატულ მეტრზე	0.096 - 0.099 (0.097)	0.098 - 0.01 (0.01)
საინვესტიციო ქონება	შემოსავლების მეთოდი /საბაზრო მეთოდი	ფასი 1 კვადრატულ მეტრზე	8 - 9 (8.3)	8 - 9 (8.3)
		აუთენტიკური ფართობის განაკვეთი %	10%	10%
		WACC %	10%	10%

საიჯარო შემოსავლების მთლიანი თანხა აღიარებული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების უწყისში, ასახულია 17-ე განმარტებით შენიშვნებში.

სამართლიანი ღირებულებები შეფასდა იერარქიის მეორე და მესამე დონეებით დისკონტირებული ფულადი ნაკადების საშემფასებლო ტექნიკის გამოყენებით. მცურავი განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც აქტიურად არ კოტირდება ბაზარზე შეფასდა საბალანსო ღირებულების ტოლად. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, რომელშიც გამოყენებულ იქნა საბაზრო და საშემოსავლო მიდგომების კომბინაცია.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც აქვთ მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

23 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნით, ფასს 9, "ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება", ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს შემდეგ კატეგორიებად: (i) ისინი, რომლებიც შემდგომად უნდა შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით, (ii) ისინი, რომლებიც შემდგომად უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით და შედეგი აისახოს სხვა სრული შემოსავლების უწყისში და (iii) ისინი, რომლებიც შემდგომად უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით და შედეგი აისახოს მოგება-ზარალის უწყისში. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი საწყის ეტაპზე ფასდება სამართლიანი ღირებულებით, და შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

Handwritten signature

23 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით (გაგრძელება)

ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (a) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და (b) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით წლის განმავლობაში მოგება/ზარალში (FVPL) აღირებულ მაჩვენებელში ცვლილებებით იმ პერიოდში როცა ისინი წარმოიქმნა. ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები, რომელიც შეხედულებისამებრ განსაზღვრულია კომპანიის მიერ აღიარებულ სხვა სრულ შემოსავალში (OCI), რეციკლაციის გარეშე, თუ:

- OCI პრეზენტაცია წარმოქმნის ან გაზრდის მოგების და ზარალის საღრიცხო დისბალანსს; ან
- ვალდებულება არის სავალო ვალდებულები ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი

სხვა ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელიც ხვდება სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიაში 2017 წლის 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 1 იანვრისთვის.

24 ანგარიშების პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდები. 2018 წლის იანვრიდან ივლისამდე პერიოდში კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაიხადა 1,211 ათასი ლარის დივიდენდები. გადახდა განხორციელდა ლარში.

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასთვრამეტი წლის ოცდაერთ სექტემბერს მე, ნოტარიუსი, ნინო მასხულია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12, ვამოწმებ მთარგმნელის, ქალბატონი *მზია თულიანის* ხელმოწერის სინამდვილეს, ორმოც გვერდზე, ერთ ცალად, რომელმაც ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა შპს „დემასი“-ს გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, 2017 წლის 31 დეკემბერი, ხელმოწერილი შპს *Pricewaterhouse Cooper Georgia LLC-ს* (რეგ.#SARAS-F-775813) სახელით, ლაშა ჯანელიძის (რეგ. #SARAS-A-562091) მიერ და შპს „დემასი“-ს დირექტორის, ბატონი მალხაზ საბაძისა და მთავარი ბუღალტრის, ქალბატონი ეკატერინე შერვაშიძის მიერ.

ქალბატონი მზია თულიანი, დაბადებული 1952 წლის 17 აპრილს თბილისში, პირადი N01009023304, რეგისტრირებული ქ.თბილისში, ო.დგებუაძის ქუჩა N1, ბინა 236, პროფესიით არის ინგლისური ენის სპეციალისტი, რაც დასტურდება, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ 1974 წლის 17 ივლისს გაცემული დიპლომით Я N176788.

მთარგმნელი გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს.

გადახდილია 96,40 ლარი - აქედან: საზღაური 80,00 ლარი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 14,40 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი:

ნინო მასხულია

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N181169459



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

21.09.2018 6

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ნინო მასხულია

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2997150

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

92489333896618



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის
ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შპს „დემასი“

ხელმძღვანელობის ანგარიში- საქმიანობის მიმოხილვა 2017 წელი

1. კომპანია, მისი განვითარება, საქმიანობა და პოზიცია:

ზოგადი ინფორმაცია. შპს „დემასი“ (კომპანია) დაფუძნდა 2000 წლის 3 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის საქართველოში არსებული რეგულაციების შესაბამისად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და რეგისტრირებულია გლდან-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 200066221.


კომპანიას ფლობს ორი ფიზიკური პირი მალხაზ საბაძე (50%) და დევიანოზ ინასარიძე (50%). კომპანიის მფლობელები ასრულებენ აღმასრულებელი დირექტორების ფუნქციებს და მონაწილეობენ კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვაში.

მთავარი საქმიანობა და შემოთავაზებული საქონლის ასორტიმენტი. 18 წლის განმავლობაში კომპანია ეწევა წამყვანი ევროპული და აზიელი მწარმოებლებისგან იმპორტირებულ ბინის რემონტისთვის საჭირო საქონლით ვაჭრობას (ე.ი. აბაზანის მოწყობილობა და სხვადასხვა სარემონტო მასალა) და ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვას, სადაც კომპანია ბაზრის ლიდერია.

კომპანია სთავაზობს თავის კლიენტებს სხვადასხვა დიზაინის სააბაზანო ოთახებისა და დაკავშირებული მოწყობილობისთვის სადემონსტრაციო ოთახებს (შოურუმები), რაც ეხმარება კლიენტებს შემოთავაზებული სარემონტო მასალებისა და მოწყობილობების ვიზუალურად შეფასებაში.

კომპანია თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ მწარმოებლებთან, როგორიცაა: Armani Roca, Roberto Cavalli, Versace, Bisazza, Mapei, Hansgrohe, Roca, Duravit, Geberit, Laufen, Teuco, Grohe და სხვა.

2017 და 2016 წლებში სხვადასხვა ქვეყნებიდან შესყიდული საქონლის წილი შეჯამებულია ქვემოთ:



შენიშვნა*: 2016 წლისთვის შესყიდულ საქონელთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის აუდირებული.

ქ. ბაყალი

გაყიდვები პროდუქტების, გაყიდვების არხებისა და კლიენტების მიხედვით. კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროდუქტების ჩამონათვალი: კერამიკული სანიტარულ-ტექნიკური ნაკეთობები, აკრილის აბაზანები მასაჟის ფუნქციებით ან მის გარეშე, შხაპის კაბინები, სანტექნიკა, შემრევები, ლამინატი და ბუნებრივი ხის იატაკები, კედლისა და იატაკის კერამიკული ფილები, კერამიკულ-მოზაიკური ფილები, მინის მოზაიკა და სხვა სარემონტო მასალები.

მთავარ პროდუქტების ჯგუფებზე დაფუძნებული კომპანიის მიერ წარმოქმნილი შემოსავლები შეჯამებული ქვემოთ:

ათასი ქართული ლარი

2017

იატაკისა და კედლის ფილები და ლამინატები	31,319
სააბაზანო ოთახთან დაკავშირებული საქონელი	12,444
ნიჟარები, წყლის შემრევები და დაკავშირებული საქონელი	6,266
წებოვანი მასალები	2,676
მინის მოზაიკა	383
სხვა	477

სულ შემოსავალი

53,565

კომპანიას აქვს კლიენტების დივერსიფიცირებული ასორტიმენტი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ პირებს, იურიდიულ პირებს, სამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა, რომლებიც შემდგომ დაყოფილია საცალო და საბითუმო კლიენტებად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება მოიცავდა საქართველოში, თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე ოთხ კომერციულ სივრცეს მთლიანობაში 829 კვადრატული მეტრი ფართობით, რომლის სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 7,014 ათას ლარს (1 იანვარი 2017: 6,969 ათასი)). კომერციული სივრცეები მიქირავებულია სხვადასხვა დამქირავებლებზე 1-დან 5 წლამდე საიჯარო პერიოდით.

კომპანია მუდმივად იღებს გაქირავებული საკუთრებიდან შემოსავლებს, რომელმაც 2017 წლისთვის შეადგინა 612 ათასი ლარი. (2016: 547 ათასი ლარი (არააუდირებული)).

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

კომპანიის მთავარი ფინანსური მაჩვენებლები

შეჯამებულია ქვემო:

ათასი ქართული ლარი

2017

2016*

შემოსავლები	53,565	46,821
გაყიდვების თვითღირებულება	(31,349)	(29,661)
მთლიანი მარჟა	41%	37%
სუფთა მოგების მარჟა	31%	25%
სულ აქტივები	82,180	64,744
სულ კაპიტალი	78,542	62,748
EBITDA*	16,752	14,338

შენიშვნა*: 2016 წლის მოგება ან ზარალი და სხვა მთლიანი შემოსავალი და დაკავშირებული მონაცემები ((EBITDA – შემოსავალი პროცენტამდე, გადასახადამდე, ცვეთასა და ამორტიზაციამდე) არ არის აუდირებული.

შპს დემასი 2

ძირითადი ცვლილებების განმარტება:

1. შემოსავლების ზრდა (შესაბამისი ზრდა გაყიდვების თვითღირებულებაში) გამოიწვია ხელმძღვანელობის სტრატეგიულმა ღონისძიებებმა, რომელიც ეფუძნებოდა ბაზრის მდგომარეობის გააზრების მაღალ დონეს, კლიენტის სურვილებს და კონკურენტების შემოთავაზებებს. კომპანიამ გააფართოვა თავისი საქონლის ასორტიმენტი, რომელიც მოიცავს ახალი ბრენდის ახალი მასალების პრეზენტაციას, არსებული მასალების ახალ კოლექციებს, და სხვა.
2. მთლიან აქტივებში ზრდა უკავშირდებოდა შემდეგი ცვლადების ზრდას: i. სასაქონლო-მატერიალური მარაგები – კომპანია ზრდის შემოთავაზებული საქონლის ასორტიმენტს, ამიტომ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი გაიზარდა; ii. ვადიანი დეპოზიტების ზრდა – კომპანია რეგულარულად განათავსებს თავისუფალ თანხას ფიქსირებულ პროცენტთან ვადიან დეპოზიტებზე კარგი რეპუტაციისა და სტაბილური საკრედიტო რეიტინგის მქონე ქართულ ბანკებში. კაპიტალის ზრდა გამოწვეულია 2017 წლის სუფთა მოგებით (16,857 ათასი ლარი) გამოკლებული 2017 წელს გამოცხადებული და სრულად გადახდილი დივიდენდები (1,063 ათასი ლარი)
3. EBITDA -ის ზრდა უკავშირდება ზემოთ 1-3 პუნქტებში განხილულ სხვა ფაქტორებს.

კომპანიის სამომავლო გეგმები. ამჟამად კომპანია არ გეგმავს საექსპორტო გაყიდვებს, ამის ნაცვლად ის ორიენტირებულია საქართველოში ბაზრის წილის გაზრდაზე. ჯერ კიდევ 2017 წელს, კომპანიამ დაიწყო ახალი შენობის მშენებლობა და „გალერეა დემასის“ შოურუმის გაფართოება, რაც გულისხმობს არსებული შოურუმის სრულ განახლებას და არსებული კომერციული სივრცის მოცულობის 4,000 კვ მეტრით გაზრდას. თანამედროვე ინტერიერის მქონე ახალი შოურუმის მშენებლობა დასრულდება 2018 წლის მეორე ნახევარში.

კომპანია გეგმავს საქმიანობის უფრო მეტად გაფართოვებას საქართველოს დასავლეთ ნაწილშიც, თუმცა ამ ხელმძღვანელობის ანგარიშის მომზადების თარიღისთვის ზუსტი გეგმები და სტრატეგია ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული.

ინფორმაცია ქვეყანაში არსებული ფილიალების /გაყიდვების პუნქტების შესახებ. კომპანიას არ აქვს ლეგალური ფილიალები, ამის ნაცვლად გაყიდვები ხორციელდება სხვადასხვა შოურუმების საშუალებით.

- “გალერეა დემასი“ განთავსებულია საოპერაციო ლიზინგის ქვეშ არსებულ შენობაში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, 9 მარტის ბაღის მიმდებარე ტერიტორია, ძველი თბილისის რაიონი, საქართველო;
- “სავაჭრო ცენტრი იდეალი“ არის კომპანიის მფლობელობაში და მდებარეობს თბილისში, დ აღმაშენებლის ხეივანი, მე9 კმ, საქართველო;
- ქუთაისში, საქართველო, მდებარე შოურუმში მუშაობს ფრანჩაიზით ბრენდის „იდეალი“ სახელით, 2016 წლის 1 იანვარს მხარეებს შორის ხელმოწერილი ფრანჩაიზის ხელშეკრულების შესაბამისად.

კომპანია ასევე ფლობს თბილისში მდებარე ორ საწყობს, რომლებიც საბითუმო გარიგებებისთვის გამოიყენება როგორც გასაყიდი პუნქტები და აღნიშნული შოურუმების სადისტრიბუციო პუნქტები.

კომპანიის მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები. კომპანიის მთავარი ფინანსური მაჩვენებლები, მათ შორის ზემოთ „ფინანსურ ანგარიშგებაში“ მოცემული 2016 წლის მაჩვენებლებთან შედარებით ცვლილებების შესაბამისი განმარტებები.

(i) **ურთიერთობა თანამშრომლებთან.** შპს „დემასი“ პერსონალის რაოდენობა 170-200-მდე მერყეობს. კომპანიას აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და კომპანია არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამკირავებელი, შპს „დემასი“ სთავაზობს პერსონალს ინსტრუმენტებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანია სთავაზობს შრომის მოყვარე, მიზანზე ორიენტირებულ პირებს დაწინაურების შესაძლებლობებს, კარგ სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს, სადაც თანამშრომლის უფლებები კარგად არის დაცული და მუდმივად კონტროლდება კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტის მიერ.

(ii) *ურთიერთობა მომწოდებლებთან და კლიენტებთან.* კომპანიას აქვს კარგი პროფესიონალური ურთიერთობა კლიენტებთან - რაც გამოიხატება ყურადღებასა და წლების განმავლობაში შეძენილი პროფესიონალიზმით, რის შედეგადაც ერთჯერადი კლიენტები ხდებიან ხშირი კლიენტები და მცირდება შეძენილი საქონლის დაბრუნების და/ან კლიენტის უკმაყოფილების შემთხვევები.

როგორც ზემოთ არის ჩამოთვლილი, კომპანიას ურთიერთობა აქვს ევროპისა და აზიის წამყვან მწარმოებლებთან. კომპანია არის აღნიშნული კომპანიების სანდო კლიენტი, რასაც ადასტურებს უამრავი ექსკლუზიური ხელშეკრულება, და რაც საშუალებას აძლევს კომპანიას იყოს გარკვეული კატეგორიის მაღალი ხარისხის პროდუქტების ერთადერთი იმპორტიორი და საცალო მოვაჭრე.

(iii) *ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან.* კომპანიის სააღრიცხვო სისტემა კარგად არის ორგანიზებული და მართული. კომპანიის საბუღალტრო დეპარტამენტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგს საიმისოდ, რომ კარგად გაერკვენ კომპანიაზე ზემოქმედების მქონე საგადასახადო კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებებში.

გარდა ამისა, კომპანია იყენებს საგადასახადო საკონსულტაციო კომპანიის მომსახურებას, რომელიც ეხმარება შპს „დემასს“ შესაბამისობაში იყოს საქართველოში წარმოქმნილ საგადასახადო გარემოსთან. კომპანიას იშვიათად აქვს დავა საგადასახადო ორგანოებთან და არ აქვს მნიშვნელოვანი საურავებისა და/ან ჯარიმების ისტორია.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებთან დაკავშირებული დამატებითი

განმარტებები. ბაზარზე არსებული წამყვანი პოზიცია და კომპანიის ძლიერი ფინანსური

მდგომარეობა განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით:

- მომსახურება და კლიენტის დაკმაყოფილება - როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიის ხელმძღვანელობა საკმარის ყურადღებას აქცევს თანამშრომლების კვალიფიკაციას, ესენი არიან კარგად მომზადებული პროფესიონალები;
- ექსკლუზიური ხელშეკრულებები - კომპანიამ გააფორმა რამდენიმე ექსკლუზიური ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებს კომპანიას იყოს საქართველოში გარკვეული საქონლის ერთადერთი იმპორტიორი და ცალკებით მოვაჭრე;
- კომპანიის ზედა რგოლის ხელმძღვანელობა - კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს ამ დარგში მუშაობის საკმარისი გამოცდილება და ისინი 100%-ით ჩართული არიან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც საშუალებას აძლევს მათ თვალყური მიაღვენონ ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებებს და ადვილად შეეგუონ ცვლილებებს;
- ბრენდის სიძლიერე და რეპუტაცია - კომპანიამ შეძლო შეექმნა ძლიერი სავაჭრო სახელწოდება საქართველოს ბაზარზე, რომელიც გულისხმობს ხარისხს, პროფესიონალიზმს და სათანადო ყურადღებას.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები:

საკრედიტო რისკები. კომპანია აქვს საკრედიტო რისკი, რომლის გამოც ფინანსური ინსტრუმენტის ერთმა მხარემ შესაძლოა გამოიწვიოს მეორე მხარის ფინანსური ზარალი რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან, ბანკებში არსებული ვადიანი დეპოზიტებიდან, ასევე კლიენტების საკრედიტო რისკებიდან, მათ შორის გადაუხდელი დებიტორული დავალიანებებიდან.

წესი დაკრძალა

შპს „დემასი“

ხელმძღვანელობის ანგარიში- საქმიანობის მიმოხილვა 2017 წელი

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით:

ათას ლარში	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ვადიანი დეპოზიტები	36,925	22,911
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	314	409
მოთხოვნისას გადასახდელი საბანკო ნაშთები	3,769	2,539
სულ საბალანსო რისკები	41,008	25,859
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკები	41,008	25,859

კომპანიას არ აქვს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, რადგან კომპანიის საქმიანობა იმგვარად ხორციელდება, რომ თავიდან იყოს აცილებული კრედიტით გაყიდვები, გაყიდვების ~ 99% ხორციელდება ავანსად გადახდის პირობებით და სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ნაშთი მუდმივად შენარჩუნებულია დაბალ დონეზე (2017 წლის 31 დეკემბერი: 314 ათასი ლარი; 2017 წლის 1 იანვარი: 409 ათასი ლარი) მაქსიმუმ 30 დღიანი გადახდის ვადით.

საკრედიტო რისკი არსებობს კომპანიის ვადიან დეპოზიტებთან დაკავშირებით როგორც 2017 წლის 31 დეკემბრის, ასევე და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობამ განსაზღვრა გარკვეული წესები და პროცედურები ამ რისკის სამართავად: დეპოზიტები გადანაწილებულია 2 ბანკზე (2017 წლის 1 იანვარი: 2 ბანკი), რომელთა საკრედიტო რეიტინგი მკაცრად კონტროლდება ხელმძღვანელობის მიერ საკრედიტო რეიტინგების დამოუკიდებელი პროვაიდერის - Fitch-ის მიერ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკების პოზიციები კონტროლდება ყოველთვიურად ხელმძღვანელობის მიერ.

ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის რისკი უცხოური ვალუტის კურსის რისკთან მიმართებაში საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს.

ათას ლარში	2017 წლის 31 დეკემბრისთვის			2017 წლის იანვრისთვის		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	სუფთა საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	სუფთა საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	39,357	607	38,750	24,724	345	24,379
ევრო	1,134	-	1,134	697	-	697
ლარი	652	58	594	563	60	503
რუსული რუბლები	19	-	19	12	-	12
სულ	41,162	665	40,497	25,996	405	25,591

კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი, ძირითადად აშშ დოლართან დაკავშირებით. სავალუტო რისკები წარმოიქმნება იმ ვალუტაში დენომინირებული მომავალი ტრანზაქციებიდან და აღიარებული აქტივებიდან (ძირითადად ვადიანი დეპოზიტები) და ვალდებულებებიდან, რომელი ვალუტაც არ არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი უკავშირდება კომპანიის ბიზნეს მოდელს, რადგან ზოგადად ყველა სასაქონლო-მატერიალური მარაგის შესყიდვა ხორციელდება უცხოური კომპანიებისგან, რომლებიც თანხას იღებენ უცხოურ ვალუტაში, მაშინ როცა

შპს „დემასი“

ხელმძღვანელობის ანგარიში- საქმიანობის მიმოხილვა 2017 წელი

გაციდევებიდან მიღებული თანხები ქართულ ლარშია. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივების დონე განპირობებულია სასაქონლო-მატერიალური მარაგის შესყიდვასთან დაკავშირებით კომპანიის შესაძლოა მომავალი დანახარჯებით, საიმისოდ, რომ მოხდეს მომწოდებლის ვალუტასთან მიმართებაში ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებული შესაძლო მომავალი სავალუტო რისკი მართვა.

პოლიტიკური რისკები. კომპანიის კონკრეტული საქმიანობის გამო, შპს „დემასი“ მომავალი საქმიანობა მჭიდრო კავშირშია საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასთან.

შენიშვნა*: 2017 წელს კომპანიას არ მიუღია მონაწილეობა რაიმე „კვლევასა და განვითარებაში“ (R&D)

მალხაზ საბაძე

დირექტორი

2018 წლის 18 სექტემბერი

Handwritten signature

საქართველო
სანოტარო აქტი


ორიათასთვრამეტი წლის ოცდაერთ სექტემბერს მე, ნოტარიუსი, ნინო მასხულია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12, ვამოწმებ მთარგმნელის, ქალბატონი *მზია თულიანის* ხელმოწერის სინამდვილეს, *ექვს* გვერდზე, ერთ ცალად, რომელმაც ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა *შპს „დემასი“-ს ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2017 წელი, ხელმოწერილი დირექტორის, ბატონი მალხაზ საბანაძის მიერ 2018 წლის 18 სექტემბერს.*

ქალბატონი მზია თულიანი, დაბადებული 1952 წლის 17 აპრილს თბილისში, პირადი N01009023304, რეგისტრირებული ქ.თბილისში, ო.დგებუაძის ქუჩა N1, ბინა 236, პროფესიით არის ინგლისური ენის სპეციალისტი, რაც დასტურდება, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ 1974 წლის 17 ივლისს გაცემული დიპლომით Я N176788.

მთარგმნელი გაფრთხილებულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს.

გადახდილია 16,16 ლარი - აქედან: საზღაური 12,00 ლარი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 2,16 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი:



ნინო მასხულია



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N181169278



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

21.09.2018 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ნინო მასხულია

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2997150

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

05147141279818



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის
ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

